ეროვნული ბიბლიოთეკა
825
1975

თავისუფალი საქართველო

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო
სარედაქციო კოლეგია: გიორგი ნოზაძე, მიხეილ ქავთარაძე, გიორგი წერეთელი.

LA TRIBUNE DE LA LIBERTÉ
Organe pour la Libération de la Géorgie

№ 8 პარიზი ივლისი 1975

დიდება ქართველ ერს!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს

26 მაისი

1918 წელი, 26 მაისი, საქართველო კვლავ აღსდგა მკვდრეთით 117 წლის მონობის შემდეგ. მართალია, თავისუფალ საქართველოს სამი წელიც კი არ უარსებია და რუსეთმა, ამჟამად ბოლშევიკურმა, კვლავ დაგვიპყრო და დღესაც განაგრძობს ძალმომრეობას, მაგრამ ქართველი ერი არასოდეს არ შეუერიგდება ამას და ამ უთანასწორო ბრძოლაში, 26 მაისი მუდამ იქნება მისი მოკაშკაშე შუქურა, ამიტომ არის, რომ კრემლის აგენტები საქართველოში, ყოველივეს ჩადიან, რათა ეს დღე დაავიწყოს ქართველ ახალგაზრდებს.

ქართველო! ქართველო მამავ და ქართველო დედავ! სადაც არ უნდა იყო და რა პირობებშიც არ უნდა იყო, ჩაუნერგე შენს შვილს 26 მაისის ხასიათი და მნიშვნელობა. მოუთხარ ნამდვილი ამბავი ჩვენი ერის ისტორიის ამ მნიშვნელოვან თარიღის შესახებ.

თავისუფლების ტრიბუნის განცხადება

„თავისუფლების ტრიბუნამ“ დიდი დანაკლისი განიცადა მისი რედაქციის ორი წევრის — მიხეილ გრიგოლიას და ლევან ზურაბიშვილის დაკარგვით. განსაკუთრებით ლევან ზურაბიშვილის სიკვდილმა არა მარტო ჩვენი გაზეთი, არამედ მთლიანად ქართული საქმიანობა საზღვარგარეთ დაობლა. რამდენადაც დიდია დანაკლისი, იმდენად დიდი უნდა იყოს ჩვენი ძალების შემჭიდროვებისა და გაერთიანებისაკენ ლტოლვა, რომ დარჩენილებმა შეძლონ მძიმე ტვირთის აწევა.

„თავისუფლების ტრიბუნას“ რედაქციაში, კეთილინებეს და დღეიდან, სრული პასუხისმგებლობით მონაწილეობენ ბატონები: გიორგი ნოზაძე და მიხეილ ქავთარაძე,, ხოლო მუდმივ თანამშრომლებად და პოლიტიკურ მრჩევლებად — შალვა კალანდაძე, მირიან მელუა, პავლე სარჯველაძე, სევერიან ჭირაქაძე, მიხეილ ხუნდაძე,

ამით, ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის ხარისხიც აიწევს და მისი დანიშნულებაც — იყოს ზეპარტიული, ეროვნული ერთობის ორგანო — პრაქტიკაში განხორციელებული და უფრო თვალში მომხვედრიც იქნება.

საინფორმაციო პერიოდული გაზეთის არსებობა მით უფრო საჭირო ხდება, რომ ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოდან იწყო მოსვლა რუსული „თვითგამოცემის“ გზით, არა მარტო დეკლარაციებმა, არამედ კრიტიკულმა ფაქტობრივმა მასალებმაც. საჭიროა მათი გაანალიზება და მათი გავრცელება, როგორც ქართველებში ისე უცხოელებში. საერთაშორისო საზოგადოებრივმა აზრმა უნდა იცოდეს საქართველოს ნამდვილი ამბები, აქამდე ის იკვებება საბჭოთა ოფიციალური პროპაგანდით.

თუ მსოფლიოში გაფანტული ჩვენი თანამემამულენი ჩვენსავით განიმსჭვალებიან ამ საქმის საჭიროების შეგნებით და ვისაც რა შეუძლია მით დაგვეხმარება (არა მარტო მატერიალურად არამედ მორალურადაც და თანამშრომლობითაც) და თუ განგებაც ინებებს, იქნებ მცირედი სამსახური გავუწიოთ სამშობლოს, რომელსაც იგი ჩვენგან მოელის და რომლის მოვალენიც ჩვენ მის წინაშე ვართ.

ქართული თვითგამოცემის მასალები

ნიღაბი იხდება.

თავისულების ტრიბუნის მე-6 ნომერში განხილული იყო ქართული თვითგამოცემის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობას შეეხებოდა. ჩვენ მაშინ ეჭვის თვალით ვუყურებდით, არა მარტო იმ დოკუმენტში აღწერილ ზოგიეოთ აღმაშფოთებელ ფაქტებს, არამედ თვით დოკუმენტის სათავესაც. (ხომ არ იყო მასში ედ. შევარდნაძის ჩეკის ხელი, ვ. მჟავანაძის პიროვნებისა და მისი მეუფების დროინდელი პოლიციის აგენტების წინააღმდეგ?)

რაც დრო გადის, დოკუმენტში აღწერილი ფაქტები დასტურდებიან. სახელმწიფო უშიშროების აგენტები გამალებით დაეძებენ დოკუმენტის ავტორს. ამის თაობაზე მიმდინარეობს დაკითხვები, გამოძიებები და თვით პროცესებიც კი; ვალენტინა ფაილოძე დააპატიმრეს და გაასამართლეს ვითომც ცილისმწამებელ ჭორების გავრცელებისათვის. სინამდვილეში ამ დოკუმენტის შედგენისა და გავრცელებისათვის; დაკითხეს გამომძიებელი დავით ქორიძე (რომლის გამოძიებაც საფუძვლად დაედვა დოკუმენტს), ზვიად გამსახურდია, ოთარ კოსტავა და სხვ. გამომძიებელი დავით ქორიძე პენსიაში გაუშვეს, მისი სურვილის წინააღმდეგ, და დღეს, ეს დამსახურებული და გამოცდილი იურისტი უშედეგოდ დაეძებს ადგილს დამცველ ვექილის თანამდებობაზე. დღესავით ნათელია, რომ ედუარდ შევარდნაძემ და მისმა დღევანდელმა საქართველოს ხელისუფლებამ სიმართლის გამოვლინებას და ნამდვილ კრიმინალთა დასჯას არჩიეს სიმართლის მამხილებელთა დევნა, შევიწროება, დაშინება, ციხე და... მოწმეთა ფიზიკური განადგურება.

მოსკოვსა და საქართველოს შორის 1917 წლამდე და მის შემდგომ პერიოდში არსებულ ურთიერთობათა მიმოხილვა

ასეთი სათაურით, თვითგამოცემის გზით, მივიღეთ მეორე დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც განიხილავს რუსეთის და საქართველოს ურთიერთობას, დასაბამიდან დღემდე. იგი შედგება დაახლოებით 40 ნაბეჭდი გვერდისაგან, ავტორის, თუ ავტორების სახელი და გვარი არ იკითხება და შედგენილია 1974 წელში, არა უადრეს 6 თებერვლისა. რადიო „თავისუფლების“ ქართულმა რედაქციამ კარგად თარგმნა ქართულად ეს დოკუმენტი, და საბეჭდ მანქანაზე გამრავლებული მრავლად დაარიგა დაინტერესებულ პირთა შორის. მთელ რიგ პასუხისმგებელ პირთა აზრი, ინტერვიუს სახით, და ბატონ ნოე ცინცაძის განმარტებები გადაცემული იქნენ ეთერში, ამიტომ და იმის გამოც, რომ დოკუმენტი

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.).

ევროპის უშიშროების საკითხი

დღიდან საბჭოთა დიქტატურის გაბატონებისა, მისი საგარეო პოლიტიკის უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა დასავლეთის თავისუფალ ქვეყნებში, სოციალური რევოლიუციების გამოწვევა და მათში საბჭოთა წყობილების შეტანა და იქ გამაგრება. ამ მიზანდასახულობას ემსახურებოდა პროფინტერ - კომინტერნი, ადგილობრივ კომპარტიების გამოყენებით, პირველ ომის შემდეგ. ყველა ცდები უშედეგოდ დარჩა. ევროპამ დასძლია ეკონომიური კრიზისები და მით ოქტომბრის ავანტურას გზა გადაუღობა. მეორე ომის შემდეგაც ევროპა ეკონომიურად წელში გაიმართა; მართალია საბ. კავშირმა თავისი გავლენა გაამეფა ცანტრალურ ევროპაზე და მისი იმპერიალისტური მადა გაიზარდა, მას მაინც არ შეეძლო ეფიქრა **ტროცკის პერმანენტულ სოციალურ რევოლიუციებზე,** ამ ახალმა გარემოებამ გაახსენა კრემლის ბატონებს ლენინის მიერ დატოვებული ანდერძი: — დასაშვებია, განსაზღვრულ დროს მანძილზე, კაპიტალისტურ სამყაროსთან მორიგება, დაზავება, შესვენება. რომ შემდეგ უფრო მკვეთრი შეტევები იქნას შესაძლებელიო. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ე. წ. თანაარსებობის პოლიტიკა. თანაარსებობა გულისხმობს აღმოსავლეთ—დასავლეთის, ორ განსხვავებული რეჟიმის ერთი-მეორეს გვერდით მშვიდობიან ცხოვრებას, ერთი-მეორეს რწმენისა და იდეების პატივისცემას, ეკონომიურ გაცვლა-გამოცვლის ნორმალური გზით.

სურს კი მოსკოვს ასეთი ურთიერთობის დამყარება?

ეს სრულებით არ შედის მის მალულ ზრახვებში, რაც აშკარავდება მის ორმაგ საგარეო პოლიტიკიდან. . .

როცა ჩეხოსლოვაკიის დაპყრობამ კაცობრიობის საერთო აღშფოთება გამოიწვია,ბრეჟნევი ენერგიულად მოითხოვს ევროპის უშიშროების კონფერენციის მოწვევას, ზავისა და მშვიდობიანობის მოქადაგის როლში გამოდის.

ზავს მოწყურებული დასავლეთის თავისუფალი ქვეყნები, დათანხმდნენ ჰელსინკში ჩატარებულიყო მოსამზადებელი მუშაობა, მხოლოდ, საბჭოებს წაუყენეს მოთხოვნილებები: იდეათა, ინფორმაციათა გაცვლა-გამოცვლა და მოქალაქეთა თავისუფალი მიმოსვლა. . . მათ უარი სთქვეს. გასაგებია, რომ მოსკოვი დაშინდა, როგორ შეეძლო მას დასავლეთის თავისუფალ იდეების ტალღებისათვის გზა გაეხსნა? ეს იქნებოდა, საბოლოო ანგარიშში, დიქტატურის კედლების ჩამონგრევა.

მოლაპარაკება გაგრძელდა ჟენევაში, მოსკოვის „დათმობა“, როგორც ჩანს დასავლეთისათვის დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, სახელდობრ, უცხო ჟურნალისტებისათვის პირობების გაადვილება თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად და ორივე მხრიდან ოჯახის წევრთა შეერთების გაადვილება.

მოსკოვმა შესძლო გამომძვრალიყო უხერხულ მდგომარეობიდან, ცდილობს კვლავ მიაძინოს დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი, რადგან მისთვის აუცილებელია დასავლეთის ნეიტრალიზაცია, აღმოსავლეთიდან მოწოლილ საშიშროების გამო, და ნდობის მოპოება იმ „წყეულ კაპიტალისტების“, რომლებიდანაც თხოულობს კრედიტებს და ტეხნიკურ დახმარებას.

სათვალმაქცო თანაარსებობას ხელს უწყობს მოსკოვიდან კომერციული შეკვეთების მიღებაც. უკანასკნელად თითქოს შეიარაღების შემცირებაზე თანხმობას აცხადებს მოსკოვი, რა ფასი აქვს მის დაპირებას, თუნდაც დათანხმდეს, თუ თავის ტერიტორიაზე კონტროლს არ დაუშვებს? რომელი ხელშეკრულება იყო, მოსკოვს პირნათლად შეესრულებიოს? სხვის საქმეებში ჩაურევლობას აქვს სხვადასხვა ხასიათი; დღეს ირკვევა, რომ 80 პროცენტი იარაღების მოსკოვიდან იქნა მიწოდებული სამხრეთ ვიეტნამის დემოკრატიული წყობილების დასანგრევად. ფრიად დამახასიათებელია სოლჟენიცინის განცხადება ვაშინგტონში: „კაცობრიობის მდგომარეობა კატასროფიულია“ — განაცხადა მან, და ჩამოთვალა კომუნიზმის ზოგიერთი გამარჯვება, რაც შედეგია იმ შეცდომების, რომლებიც დაშვებული იქნა დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მიერ. დემოკრატიული ვიეტნამის დატოვებამ გამოიწვია ის, რომ 4—5 მილიონი მცხოვრები კონცენტრაციულ ლაგერებში იქნა ჩაყრილი.

საბჭოთა რეჟიმი არ შეცვლილა სტალინის სიკვდილის შემდეგ. ქვეყნიერების დაპყრობა დარჩა, საბჭოთა ხელძღვანელების მიზანი.

განა აკადემიკოსი სახაროვი არ აფრთხილებს ამერიკელებს: „თქვენი კრედიტები და დახმარება მოხმარდება არა ხალხის კეთილდღეობას, არამედ სამხედრო ინდუსტრიის გაძლიერებას-“ო.

ეს გამოჩენილი პიროვნებები არიან რუსეთის პატრიოტები, რომელნიც სინდისმა და თვით რუსის ერის სასიცოცხლო ინტერესების მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებამ აიძულა ემხილათ ტოტალიტარული რეჟიმი, და აღემართათ ბრძოლის დროშა მის წინააღმდეგ.

თუ საგარეოდ გრძელდება თანაარსებობისათვის შეუჩერებელი პროპაგანდა გარკვეული მიზნების მისაღწევად, შიგნით, საშინაო ფრონტზე ოდნავ არ ნელდება თავდასხმები დასავლეთის პოლიტიკურ წყობილების წინააღმდეგ. საბჭოთა პრესაში, მოსკოვის თეორეტიკოსები ყოველდღიურად ამტკიცებენ იდეოლოგიის შეუვალობას, მისთვის ერთ ფრონტზე დარაზმვას. ამ იდეოლოგიას აქვს თავისი მიმართულება, თავისი ლოღიკა, — დასავლეთის ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვა.

29680

მიუხედავად ამისა, ჟენევაში მიღებული შეთანხმება, (მოსკოვის უმნიშვნელო „დათმობებით"), ჰელსინსკში დადასტურდება 35 სახელმწიფოს მიერ, ამით მოსკოვს დაუკანონებენ მისგან ძალადობით შექმნილ ვითარებას ცენტრალურ ევროპაში... დასავლეთისათვის საშიშროება არა თუ შენელდა, პირიქით იზრდება და შეიძლება რეალობად იქცეს, თუ დასავლეთის მმართველ წრეებმა ვერ შეიგნეს, რომ თავისუფლება ერთია და განუყოფელი, თუ მოსკოვის აგრესიულ პოლიტიკას წინ არ აღუდგა მტკიცე პოზიცია, ერთა და ადამიანთა დაცვის [illegible]

მიუხედავად საბჭოთა სამხედრო და დიპლომატიურ როლის გაზრდისა, ზოგიერთი ფაქტორები, რომლებიც იზრდებიან, ვითარდებიან მაინც ამზადებენ ერთადერთ კოლონიალურ იმპერიის დანგრევას. რაში გამოიხატება ეს? ამაზე შემდეგ.

პ. სარჯველაძე.

ქართული თვითგამოცემის დოკუმენტები.

(დასწყისი იხ. მე-2 გვერდ.).

დოკუმენტში შენიშნული ხარვეზები.

თვითგამოცემის ამ დოკუმენტს აქვს ხარვეზებიც, რომლებიც სამწუხაროდ, ამცირებენ მის პოლიტიკურ მნიშვნელობას და პრაქტიკულ გამოყენებას.

თავდაპირველად, ამ დოკუმენტში ძალიან ცუდი შეფასება აქვს დამოუკიდებელ საქართველოს ეროვნულ მთავრობას. ჯერ ერთი არ შეიძლება მას ეწოდოს „მენშევიკური„ მთავრობა, (ასე მას უწოდებს საბჭოთა ხელისუფლება, ხალხის თვალში სახელის გასატეხად). ეს მთავრობა იყო ქართველი ხალხის მიერ სრულიად დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის ნდობით აღჭურვილი ორგანო და მაშასადამე ის იყო საქართველოს კანონიერი ეროვნული მთავრობა. ამ მთავრობის საქმიანობაზე ყველა ქართველს აქვს უფლება ჰქონდეს თავისი აზრი: ზოგიერთისათვის ის იყო კარგი და საძაგელითო მთავრობა, ზოგი კი მას ბრალს დებს მოუმზადებლობაში, ასე იოლად დამარცხებაში. როცა საკითხი ეხება ქართველებს შორის დავას, დიახაც ყველას აქვს უფლება თავისებურად შეაფასოს საქართველოს ეს ისტორიული ეპოქა. **მაგრამ,** როცა ასეთი მნიშვნელობის პოლიტიკური დოკუმენტი იწერება რუსულად, რუსეთის და მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრისათვის, მაშინ დიდი შეცდომაა, რომ ბრალი დასდვა შენს ეროვნულ მთავრობას მტერთან ფარულ შეთანხმებაში, მით უმეტეს, რომ ამის საბუთები არ არსებობენ, ეს ცილისწამება სახელს უტეხავს არა მარტო საქართველოს იმ მთავრობას, არამედ, ქართველი ხალხის ეროვნულ სიმწიფესაც.

მეორე ხარვეზი ამ დოკუმენტის გახლავსთ სომხების საკითხის დაკავშირება რუსულ იმპერიალიზმთან და მასზე ყურადღების გამახვილება. თქმა არ უნდა, დოკუმენტში მოყვანილი ამბები და ფაქტები სრული სიმართლეა; მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე სომხების ერთმა ნაწილმა ვერ შეიგნო, რომ ქართველებთან მჭიდრო მეგობრული კავშირი, ისე როგორც ეს ისტორიულად ყოფილა, არის მისი ეროვნული ხსნის გარანტია და არა ქართული მიწაწყლის დაჩემების, საქართველოს ისტორიის გაყალბების, ან ისტორიული ძეგლების წარაყვნის ცდა.

ყველაფერი ეს დიახაც უნდა იცოდეს ქართველობამ და სათანადოთაც იმოქმედონ, მაგრამ რუსების ანკესზე მეტად ვრცელია, ჩვენი გაზეთის ტევადობისათვის, დავკმაყოფილდებით მხოლოდ ჩვენი შთაბეჭდილებებით და განმარტებებით.

ეს დოკუმენტი შეიძლება ექვს თავად დაიყოს: პირველში აღწერილია მეფის რუსეთის ცბიერი პოლიტიკა მიმართული საქართველოს სახელმწიფოს გაუქმების და რუსეთის პროვინციად გადაქცევისა. მეორე ნაწილში მკრთალად აღწერილია, დამოუკიდებლობის პერიოდი, მესამე ნაწილში — ლენინის დროინდელი სახ-თა რუსეთის მიერ საქართველოს მუხანათური დაპყრობა, და ამის შედეგად შექმნილი ტრაგიკული მდგომარეობა, რომელიც დღემდე გრძელდება. მეხუთე ნაწილი აღწერს სომხების ერთი ჯგუფისა და იმპერიალისტ რუსების შეთქმულებას საქართველოს წინააღმდეგ და ბოლოს უკანასკნელი მეექვსე ნაწილი, სადაც დოკუმენტის ავტორი თუ ავტორები ეხებიან ალ. სოლჟენიცინის, ან. სახაროვის და მათი მიმდევრების ვამოჩენას რუსეთის პოლიტიკურ ჰორიზონტზე, რომლებიც მოითხოვენ დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებას და რომელთა იდეების გამარჯვებაც ახალ ურთიერთობას დაამყარებს რუსეთსა და მის მიერ დაპყრობილ ძირე ერთა შორის.

ამ დოკუმენტის შემდგენელი, თუ შემდგენლები, უეჭველად ფართო კულტურის, საფუძვლიანი ცოდნის და მხურვალე ძაძულიშვილები არიან.

დოკუმენტში შესანიშნავი სიმართლით აღწერილია მეფის რუსეთის ცბიერი პოლიტიკაც, საბჭოთა რუსეთის მუხანათობაც, როდესაც მან 1921 წელში დაგვიპყრო და დღევანდელი სავალალო მდგომარეობაც: პოლიციის აგენტებისაგან საქ. მართლმადიდებელი ეკლესიის დაკომპლექტების, ქართ. ეროვნული კულტურის ძეგლების განადგურების, საქართველოს ისტორიული მიწაწყლის მიტაცების და მასში უცხო ეროვნების ელემენტების ჩამოსახლების სავალალო ფაქტები.

ყოველივე ეს არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხოს ქართველმა — არ ჩაფიქრდეს და არ მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა რაღაცის გაკეთება, ქართველი ერის ფიზიკური მოსპობის, ან ეთნიურ გადაგვარებისაგან გადასარჩენად.

არ უნდა წამოვეგოთ, მსოფლიოს არ უნდა მივცეთ ყალბი წარმოდგენა თითქოს რუსები რომ არ იყონ, კავკასიელები ერთმანეთს ამოჟლეტავდით. თუ საქართველო დამოუკიდებელი იქნება, და მის მთავრობას საშუალება ექნება ქართველი ხალხის მომავალი დაიცვას, მაშინ სომეხთა ეს ჯგუფი არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს; თავისუფალი ქართველი ხალხი სულ ადვილად შეძლებს სომხეთთან ისტორიულ მტკიცე მეგობრობის აღდგენას.

მესამე ხარვეზად ამ დოკუმენტისა მე მიმაჩნია ბისი დასასრული, სადაც ნათქვამია: „ხალხის უმრავლესობა რუსეთში, რომ ისეთი იყოს, როგორც სოლჟენიცინი და სახაროვი არიან — მაშინ ჩვენ, პატარა ხალხების წარმომადგენლები, ხელს ავიღებდით ჩვენს ეროვნებაზე და ვიტყოდით რომ ჩვენც რუსები ვართო. . იმიტომ, რომ ანდრეი ბელი, სოლჟენიცინი, სახაროვი და მათი მსგავსნი წარმოადგენენ ზენაციონალურ სახეებს, ჭეშმარიტად მსოფლიო მასშტაბის მოქალაქეებს“-ო.

დოკუმენტის ეს ნაწილი სრულ წინააღმდეგობაშია მთელთან და ტოვებს ერთგვარი ანომალიის შთაბეჭდილებას. არის ეს ლაპსუსი, შემთხვევით გაპარებული, თუ განგებ ნათქვამი, სოლჟენიცინის, სახაროვის და მათი მიმდევრების გულის მოსაგებად? ყოველ შემთხვევაში, იგი მიუღებელია ყველა ჭეშმარიტი პატრიოტისათვის; რაც არ უნდა კეთილშობილი არ იყოს რუსის ხალხი და მისი მმართველობა, ქართველი კაცი ხელს ვერ აიღებს თავის ეროვნებაზე. **ქართველ ხალხს შეიძლება ჰქონდეს ძმური, მეგობრული დამოკიდებულება რუსის ხალხთან, ის არასოდეს უარს არ იტყვის ქართველობაზე, არ გარუსდება.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველ ერს არავითარი უფლება არ ექნება პრეტენზია განაცხადოს თავის ეროვნულ თავისებურებაზე.

მე კიდევ მეტს ვიტყოდი:

აღარ უნდა განმეორდეს რევოლუციის წინა ხანის მდგომარეობა, როდესაც ქართველი მარქსისტი და ქართველი ესერი რუსებთან ერთად, ერთ და იმავე პარტიებში იბრძოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, იქნება ეს ადამანის უფლებათა დაცვის ლიგა, თუ სხვა წმინდა პოლიტიკური, სოციალური ან კულტურული მოძრაობა, ქართველებმა ცალკე, რუსებისაგან დამოუკიდებლად უნდა ჩამოაყალიბონ ისინი და შემდეგ წარმომადგენლების საშუალებით დაამყარონ კავშირი, როგორც რუსულ ისე სხვა ეროვნების სათანადო მოძრაობებთან.

გ. წერეთელი

პატიმრების წამების შესახებ საქართველოს ციხეებში.

ამ სათაურით, საქართველოდან მოსულია, თვითგამომოცემის გზით წერილი, რომელშიაც აღწერილია საქართველოში მასიური დაპატიმრებებისა და ციხეებში გამეფებული წამების ამბები.

„უკიდურესად დაბალმა ხელფასმა, მძიმე ეკონომიურმა პირობებმა და სიძვირემ გამოიწვიეს ის, რომ ხალხი არალეგალური გზით ეძებს არსებობის საშუალებებს. ხელისუფლება, ნაცვლად იმისა რომ გაუმჯობესოს ეკონომიური მდგომარეობა, შეუდგა მასობრივ დაპატიმრებებს. უნდა აღინიშნოს, რომ უმთავრესად აპატიმრებენ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც უკავიათ უმნიშვნელო პოსტები, ხოლო ისინი, რომლებიც მაღალ პოსტებზე იმყოფებიან და რომლებმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, რჩებიან მათ თანამდებობაზე, ან უბრალოდ, განთავისუფლებულნი არიან თანამდებობიდან. მაღალი თანამდებობის დამნაშავეთა შორის დაპატიმრებულია მხოლოდ „ცეკავშირის“ სავაჭრო ორგანიზაციის უფროსი ჯავახიძე და სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი პეტრე ქელბაქიანი. „წმენდები“ ყველაზედ ნაკლებად შეეხო სასამართლო და პროკურატურის ორგანოებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს, მაშინ, როცა მექრთამეები და ბოროტმოქმედები სწორედ იქ არიან.

ახლახან გამოაშკარავდა თბილისის საგამომძიებლო იზოლიატორის მახელეთა დანაშაულებრივი ქმედებანი. ისინი ყოველგვარი წამებითა და სადისტური მეთოდებით აიძულებდნენ პატიმრებს, ეღიარებიათ დანაშაულებანი რომლებიც მათ არ ჰქონდათ ჩადენილი..

ციხეში არსებობს საგანგებო საკანი ნომერი 40, რომელშიც მოქმედებს ნამდვილი სადისტთა ბანდა. ამ ბანდის მოქმედებაზე, კერძოთ ჯალათი ცირეკიძის ქმედობაზე მოწმობს ბრალდებულ კ. წულაიას საჩივარი. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ჯალათმა ცირეკიძემ, წამების დროს, ახლახან, მოკლა ერთი ადამიანი, და ახლა თვით უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე. მას ალბათ დახვრეტენ, ვინაიდან ადმინისტრაციას უნდა მისი თავიდან მოცილება. ცირეკიძემ ეს გაიგო და 150 გვერდიანი განცხადება დაწერა და გაეგზავნა ყველა ინსტანციას. ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები აიძულებდნენ მას ეწამებია პატიმრები, მათგან საჭირო ცნობების მისაღებად. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით, ახლახან თანამდებობიდან იქნა მოხსნილი რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ო. ჯიბლაძე (გადაიყვანეს უზენაესი სასამართლოს კოლეგიაში), და ბიწაძე, (პენსიაში გავიდა).

ცირეკიძის „გმირობის“ ამბები, დაწვრილებით მოთხრობილია პატიმარ წულაიას საჩივარში. (მოკლედ აქვე).

გაერთიანებულ ერთა გენ. მდივანს, კ. ვალდჰაიმს.

პატიმარ **კ. კ. წულაიას** საჩივარი:

...პირველ დღესვე ცირეკიძემ ისე მაგრად მცემა, რომ რამოდენიმე საათით აზრი დავკარგე და დასჭირდათ ექიმის მოყვანა. შემდეგ მჩხვლეტავდენ რკინის საჩხვლეტებით, სკამს მირტყამდენ თავზე, ჩემს ხელის კანზე აჭრობდნენ ანთებულ პაპიროსებს და მპირდებოდენ სიკვდილს თუ არ დაგწერდი მათთვის სასურველ ჩვენებას... შემდეგ ცირეკიძე მომიჯდა გვერდში, ჩამომითვალა ჩემი ახლო ნათესავები, მითხრა სახელი ჩემი ცოლის და ჩემი 8 წლის გოგოსი, რომლებსაც ისინი გააუპატიურებენ თუ მე არ მივცემ საჭირო ჩვენებას. მე დავრწმუნდი რომ ისინი ამას იზამენ და ამიტომ, ბოლოს, დავთანხმდი დამეწერა ყველაფერი რასაც ისინი იტყვიან. კერძოთ, მათი კარნახით დავწერე რომ თითქოს, კარდავასაგან სესხად მივიღე 1.000 მანეთი, მეგონა რომ ამით გადავრჩებოდი, მაგრამ მოეტყუვდი, ხელახლად დამიწყეს ცემა და მუქარა, რომ მე თვითონ გამაუპატიურებენ, თუ არ მივწერავ წერილს ჩემს ნათესავებს, რომ გამომიგზავნონ ფული. ცირეკიძის კარნახით დაწერილი წერილი წაიღო ზედამხედველმა იუზამ (თემურ ძხარტიშვილი) ჩემ ცოლთან. ოთხჯერ მოიტანა ფული. პირველად 200 მან. 50 თვითონ დაიტოვა დანარჩენი აიღო ცირეკიძემ. მეორეჯერ 250 მანეთი; კვლავ 50 აიღო თავად და 200 ცირეკიძემ. შემდეგ, 220 მანეთი; იუზამ აიღო 50 მანეთი, ცირეკიძემ 170. შემდეგ მაიძულეს დამეწერა 1,000 მანეთი და ეს ფულიც მიითვისეს—800 მან. ცირეკიძემ და 200 იუზამ.

ფულთან ერთად ცირეკიძე მაიძულებდა დამეწერა რომ ჩემთვის გამოეგზავნათ ტანსაცმელი და ფეხსაცმელები. ყველაფერი ეს წაიღეს თავისთვის და სხვ. მცემდენ და მაწვალებდენ რა ცირეკიძე და მისი შაიკა, თხოულობდენ ჩემგან, რომ მექრთამეობა დამებრალებია, წალენჯიხის რაიონის პარტიის ყოფილ პირველ მდივნისათვის დ. ა. კვარაცხელიასათვის და ზოგიერთ სხვა პასუხისმგებელ მუშაკებისათვის. სამაგიეროდ ისინი მპირდებოდენ სასამართლომდე საქმის მოსპობას. მიუხედავათ მათი კატეგორიული მოთხოვნისა მე მივეცი მხოლოდ მართალი ჩვენება. გამომძიებელმა თორთლაძემ ფლოროვის კაბინეტში სამჯერ დახია ჩემი მართალი ჩვენება და დამემუქრა ფიზიკურ განადგურებას. მე უარი განვაცხადე, მათთვის სასურველ ჩვენების მიცემაზე, და ვიცოდი რაც მელოდა კამერაში, უარი განვაცხადე იქ დაბრუნებაზე. სანამ ნადზირატელები ძალით გამომამთრევდენ კაბინეტიდან თორთლაძემ მაჩვენა განცხადება, რომელიც მე დავწერე ცირეკიძის კარნახით. მაშინ მივხვდი, რომ სიმართლესაკენ ყველა გზა დაბშული მქონდა, და მაშინ თორთლაძის კარნახით დავწერე ჩვენება თითქოს კარდავასაგან სესხის სახით მივიღე 1.000 მანეთი. ასეთი მხეცური მეთოდებით მათ შეადგინეს ჩემი საქმე...

პატიმარი კ. კ. წულაია. წალენჯიხის სახ. კონტ. ყოფ. თავმჯდომარე. მისჯილი აქვს 10 წლის ციხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ამბები

მასიური დაპატიმრებები საქართველოში.

უკანასკნელ ორ წელიწადში, საქართველოში დაპატიმრებულია 25.000 კაცი და ქალი. აქედან 9,500 კომუნისტი. 7.000 კომკავშირელი და 68 მაღალი რანგის ჩეკისტი.

მოხსნლია ალბერტ ჩურკინი, საქ. კომპარტიის მეორე მდივანი; თოდუას საქმესთან დაკავშირებით. თოდუა იყო ფარმაკოლოგიური ტეხნიკუმის დირექტორი, რომელიც დღეს ციხეშია და თუ ოფიციალურ ვერსიას დაეჯერებთ, ის ეწეოდა სპეკულაციას დიპლომებით. დაპატიმრების დროს, ვითომ მას აღმოაჩნდა 756.000 მანეთი ახალ კუსსით, ერთი კილო თვალმარგალიტი და რამოდენიმე კილო ოქრო.

ედ. შევარდნაძის სტატისტიკური ცნობები.

ა/წ. 10 ივნისს, სოფ. რუხში (ზუგდიდის რაიონი), სადაც მისი კანდიდატურა იყო წამოყენებული საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, ედ. შევარდნაძემ ვრცელი წინასაარჩევნო სიტყვა წარმოთქვა. ამ სიტყვაში, გავლილ ოთხი წელიწადში მიღწეული წარმატებების საჩვენებლად, მოიყვანა ზოგიერთი სტატისტიკური ციფრები:

1970 წლიდან 1974 წლამდე, საზოგადოებრივი პროდუქციის ზრდა საბჭოთა კავშირში იყო 28 პროცენტი, საქართველოში 20.

ეროვნული შემოსავლის ზრდა ამავე პერიოდში საბჭოთა კავშირში ყოფილა 26 პროცენტი, საქართველოში 20. მრეწველობის საერთო მოცულობის ზრდის ტემპი, საბჭოთა კავშირში 123 პროცენტი, საქართველოში 113 პროცენტი. კაპიტალური მშენებლობა ამ ოთხ წელიწადში, საბჭოთა კავშირში 118 პროცენტი, საქართველოში 114.

საშუალო ხელფასი ს. კავშირში 125 მანეთიდან გაზრდილა 140,7 მანეთამდე, ხოლო საქართველოში 108-დან 116 მანეთამდე. მუშის და მოსამსახურის ხელფასი საბჭოთა კავშირში გაზრდილა 112,9 პროცენტით, საქართველოში 108,4 პროცენტით.

ედუარდ შევარდნაძეს არ უთქვამს და არც არავის გაუბედია მისთვის კითხვა დაესვა თუ ამ ოთხი წლის განმავლობაში ფასებმა რამდენით მოიმატა, მაშასადამე სყიდვითი ღირებულება რამდენით დაეცა, რადგანაც ინფლაცია მარტო „კაპიტალისტურ“ ქვეყნებს კი არ სჭირთ, არამედ ის საბჭოთა სისტემის თანდაყოლილი და მუდმივი მოვლენაა, რომელზე ლაპარაკი საბჭოთა მესვეურებს არ უყვართ. ამ სტატისტიკის წაკითხვის შემდეგ ჩვენს შეშფოთებას საზღვარი არ აქვს. ჩვენ ვიცოდით, რომ საბჭოთა

ეკონომიკა მეტად ჩამორჩენილია მოწინავე ერების ეკონომიკაზე და მისი მოსახლეობა გაცილებით უფრო ღარიბია, მაგრამ ჩვენ არ გვეგონა, რომ ამ მხრივ განსხვავება არსებობდა საბჭოთა იმპერიის სხვადასხვა რესპუბლიკებს შორის.

ედუარდ შევარდნაძის პირით, ოფიციალურად ვგებულობთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის საშუალო პროდუქცია თითო კაცზე ყოველწლიურად იკლებს, საბჭოთა კავშირის საერთო საშუალო პროდუქციასთან შედარებით, რომ ქართველ მუშას, გლეხს და მოსამსახურეს, ყოველ წლიურად ნაკლები შემოსავალი აქვს, ვიდრე მის კოლეგა რუსს და რომ საქართველო მთლიანად აღებული, ყოველწლიურად უფრო და უფრო ღარიბდება რუსეთის მიმართ. ეროვნულ შევიწროებას და პოლიტიკურ უუფლებობას აქ, აშკარად ემატება კოლონიალური ეკონომიური ექსპლუატაცია და საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა, თავის აუდიტორიას არაფერი არ უთხრა, თუ როგორ ფიქრობს ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას.

ფიქრობს კი, საერთოდ, ამ საკითხზე „ამხანაგი" ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე?

გენადი კოლბინის დანიშვნა.

ნურავის ეგონება რომ ედუარდ შევარდნაძემ შეძლო რუსი მეთვალყურეს მოშორება; მოხსნილ რუს ალბერტ ჩურკინის ადგილას — საქართველოს კომპარტიის ცეკას მეორე მდივნად — კრემლმა დანიშნა რუსი გენადი კოლბინი. გენადი კოლბინი იყო სვერდლოვსკის ოლქის კომპარტიის ცეკას მეორე მდივანი. ის სრულიად არ იცნობს საქართველოს, არაფერი იცის მის წარსულზე და მის დღევანდელ სპეციფურ პრობლემებზე. ალბათ სწორედ ამიტომ ის ყველაზე უფრო სანდო იქნება კრემლის იმპერიალიზმის გასატარებლად.

საბჭოეთის ამბები

ა. შელეპინის გაძევება.

მსოფლიოს სააგენტოებმა, 16—17 აპრილს, მსოფლიოს ამცნეს ალ. შელეპინის „განთავისუფლება" პოლიტბიუროს წევრობიდან. ამავე პერიოდში დასრულდა ლ. ბრეჟნევის დიპლომატიური ავადმყოფობა. ყველაფრიდან ჩანს, რომ კრემლის კულისებში გაფთრებული ბრძოლა სწარმოებდა ბრეჟნევის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეს შორის. სამხრეთ ვიეტნამის დამარცხება და იქ ამერიკის შეერთებულ შტატების პოლიტიკის მარცხი, სწორედ დროულად წამოეშველა და ჩამოსავარდნად გამზადებული ლეონიდ ილიას ძე უზანგებში გამართა. აქედან მოყოლებული, საბჭოთა პრესამ გააძლიერა ლეონიდ ბრეჟნევის კულტის პროპაგანდა.

ლეონიდ პლიუშჩის დღე.

ა/წ. 23 აპრილს, ადგილი ჰქონდა საერთაშორისო დღეს, რომელიც მოაწყო საფრანგეთის მათემატიკოსთა „ამნესტი ინტერნაციონალის საზოგადოებებმა, უკრაინელი პატრიოტის, მათემატიკოს ლეონიდ პლიუშჩის დასაცავად.

ლეონიდ პლუშჩი დაუპატიმრეს კიევში, 1972 წელს და მის შემდეგ იმყოფება სპეციალურ ფსიხიატრულ პატიმრობაში უვადოდ. მისი ცოლის, ტატიანა ჟიტნიკოვას, ა. სახაროვის და სხვათა განცხადებებით, ა. პლიუშჩი იმყოფება ფსიქიური წონასწორობის დაკარგვის საფრთხის წინაშე და თვით მისი სიცოცხლეც საფრთხეშია.

ოპოზიციონერები ფსიხიატრულ საპატიმროებში

კანადელი ფსიხიატრის ნორმან ჰირტის მიხედვით, 7,000-ზე მეტი, რეჟიმის მოწინააღმდეგე საბჭოთა მოქალაქეს გაუწია ყალბი ფსიქიატრული მკურნალობა საბჭოების პოლოტიკურმა პოლიციამ. ეს რაპორტი წარედგინა ვაშინგტონს, (სენატის იურდიულ ქვეკომისიას) 27 ოქტომბერს 1972 წელს, მაგრამ ის მხოლოდ ამ დღეებში გამოქვეყნდა ოფიციალურად. მკურნალობა მდგომარეობს ისეთი პრეპარატების მიღებაში, რომლებიც ქიმიურად ანადგურებენ ტვინის ზოგიერთ ნაწილებს. ასეთი მკურნალობა საფრთხეს უქმნის ადამიანს არა მარტო ფსიხიკურად, არამედ მის ფიზიკურ არსებობასაც. დოქტორ ჰირტმა მრავალი წლების განმავლობაში აწარმოვა დაკვირვება ამ მოვლენის შესახებ, დაჰკითხა მრავალი საბჭოთა ოპოზიციონერი, რომლებიც ამ მკურნალობის მსხვერპლები იყვნენ, და ასევე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორი ყოფილი ფსიხიატრი ამჟამად გამოქცეული საბჭოთა კავშირიდან.

ანდრეი სახაროვის მიმართვა.

მოსკოვში დაუპატიმრეს „ამნესტი ინტერნაციონალის" ჯგუფის მდივანი საბჭოთა კავშირში, ანდრეი ტვერდოხლებოვი და ჯგუფის წევრი მიკოლა რუდენკო, კიეველი მწერალი. ამავე დროს გაჩხრიკეს ამ ჯგუფის თამჯდომარე ვალენტინა ტურჩინა და წევრი ვლადიმერ ალბრეხტი. ყველა საბუთი, რაც კი შეეხებოდა „საერთაშორისო ამნისტიის" საკითხს, ჩამორთმეულ იქნა. უფრო ადრე, დაუპატიმრეს ამ ჯგუფის წევრი სერგეი კოვალევი. „კ. გ. ბ."-ის ორგანოების ეს მოქმედება მიმართულია „ამნესტი ინტერნაციონალის" წინააღმდეგ, რომლის დემოკრატიული და ჰუმანიური პრინციპები საყოველთაოდ ცნობილია მთელს მსოფლიოში, და ყველა ქვეყანაში დიდი სიმპატიით ეკიდებიან ამ საზოგადოების საქმიანობას. მთ უფრო აღმაშფოთებელია ჩვენს ქვეყანაში მათი დევნა. საჭიროა საერთაშორისო საზოგადოების აშკარა და გადამწყვეტი მოქმედება. **ა. სახაროვი.** მოსკოვი. 18-4-75.

26 მაისობა პარიზში

წელს 26 მაისობის დღესასწაული ჩატარდა 24 მაისს, საღამოს 9 საათიდან დილის 4 საათამდის, საფრანგეთის საავიაციო წრის სალონებში, გალილეს ქუჩა №6; ზეიმი გახსნა და სიტყვით მიმართა პარიზის ქართული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ბ-ნმა ვიქტორ ხომერიკმა. რომლის შემდეგაც სიტყვით გამოვიდა ფრანგი სტუმარი, — ქართველების კარგი მეგობარი, ბატონი გი კუტან დე სესევილი, წმიდა ლაზარეს ორდენის რაინდი.

სიტყვების შემდეგ გაიმართა ვახშმიანი საღამო, რომლის დროსაც ქართველ ახალგაზრდების გუნდმა:

ქალები: ნინა ხომერიკი-მონესტიესი, თინა ბერიკაშვილი - კერესელიძისა, ანიკ ხომერიკი - დავრიშაშვილისა, ნელი ხომერიკი - ჭავჭავაძისა, ეკატერინე ციციშვილი, ქრისტინე ტულეკი, ლია ვოდე. ვაჟები: ოთარ პატარიძე, ოთარ ზურაბიშვილი, გი მელიავა, მიხეილ მელიავა, მიხეილ ვოდე და ზოლტან ჟორდანია, თავიანთი შესანიშნავი სიმღერებით და მოხდენილი ცეკვებით მოხიბლეს დამსწრენი.

ტრიუმფის თაღის ქვეშ.

როგორც ყოველ წელს, წელსაც 26 მაისს, საღამოს 6 საათზე, ქართველ ყოფილ მხედართა კავშირმა, ცოცხალი ყვავილების გვირგვინი დაადვა და წმიდა ცეცხლი გააღვივა პარიზის უცნობი ჯარისკაცის საფლავზე.

პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას საფლავზე

26 მაისს, ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა, ცოცხალი ყვავილებით შეამკეს, დამოუკიდებელ საქართველოს პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას საფლავი.

ვიქტორ ნოზაძის ორმოცი.

ა/წ. 7 ივნისს, ოჯახმა (ქ-ნმა ლიდამ და ბ-მა გიორგი ნოზაძეებმა), გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე, მოაწყო ვიქტორ ნოზაძის სასულიერო და სამოქალაქო პანაშვიდი. დილის 11 საათზე, განსვენებულის ნათესავები და მეგობრები შეიკრიბნენ მის საფლავთან, ლევილში. პანაშვიდი გადაიხადა მოძღვარმა ილიამ, რის შემდეგაც დამსწრენი მიწვეულ იყვნენ ქართველთა მამულში, შატოს სალონში გაშლილ მოსაგონარ სუფრაზე.

ალაპს თამადობდა ბ-ნი ნიკო ურუშაძე, და მის გარდა მოსაგონარი სიტყვები წარმოთქვეს: ქ-ნმა ელენე წერეთელმა და ბ-ნმა ნოე ცინცაძემ. მიხეილ ქავთარაძემ, პავლე სარჯველაძემ, ლევან ფაღავამ, მიხეილ ხუნდაძემ, გიორგი ყიფიანმა, პავლე ვაშაძემ და გიორგი წერეთელმა.

გიორგი გამყრელიძის პანაშვიდი პარიზში.

საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თაოსნობით, ა/წ. 13 ივლისს, პარიზის ქართულ წმიდა ნინოს ეკლესიაში, გადახდილ იქნა პოეტ გიორგი გამყრელიძის პანაშვიდი, რომელსაც მიუხედავად არდადეგებისა, დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

გიორგი გამყრელიძის ხსოვნის დღე მიუნხენში.

ა/წ. 6 ივლისს, ქ. მიუნხენში, გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულებასთან დაკავშირებით, ახლო მეგობრებმა გამართეს პოეტი გიორგი გამყრელიძის ხსოვნის დღე.

დილის 11 საათზე და 30 წუთზე მართლმადიდებელთა ეკლესიაში გადახდილი იქნა განსვენებულის პანაშვიდი, ხოლო -2 საათზე და 30 წუთზე შესდგა კრება მიძღვნილი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი.

კრება, შესავალი სიტყვით გახსნა, გერმანიაში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარემ, ექიმმა გიორგი ვეფხვაძემ, ირაკლი გაგულაშვილმა გააკეთა მოხსენება: „გიორგი გამყრელიძის ცხოვრება და შემოქმედება", და ნუგზარ შარიამ წაიკითხა რჩეული ადგილები პოეტის შემოქმედებიდან.

26 მაისობა სოშოში

დამოუკიდებლობის ეროვნული დღესასწაული წელს, დაგვიანებით გაიმართა 8 ივნისს. დაესწრო ასოციაციის ყველა წევრი. (სამწუხაროდ ვერ დაესწრნენ, ავადმყოფობის და მოხუცებულობის გამო — ილია სალუქვაძე და იასონ შავდია). აგრეთვე ზეიმს დაესწრო ბევრი ფრანგი სტუმარი, მათ შორის ცნობილი ფრანგი სინეასტი და მწერალი არმან გატი, მისი თანამშრომლებით. ზეიმის გახსნისას შესრულებული იქნა ეროვნული ჰიმნი „დიდება". ჩვენს ახლად გარდაცვალებულთ ხსოვნას: ხ. შავიშვილს, ვიქტორ ნოზაძეს, ელისე პატარიძეს, ლევან ზურაბიშვილს, კოლონელ თოხაძეს, გიორგი კახაბერს, პოეტ გიორგი გამყრელიძეს და სხვ. კრებამ, ფეხზე ადგომით მათ ხსოვნას პატივი სცა. დღესასწაულის შესაფერი სიტყვები წარმოთქვეს: თავმჯდომარე ს. ჭირაქაძემ, მ. ჟღენტმა და დ. ქიმერიძემ.

საერთო სუფრაზე მგრძნობიარე სადღეგრძელოები ითქვა: არმან გატის, შ. ქურციკიძის, ბ. ჭაჭიაშვილის და შ. ზედგინიძის მიერ.

ამავე შეკრებაზე აღნიშნულ იქნა ოდენკურ - სოშოს სათვისტომოს დაარსების 50 წლისთავი. თავმჯდომარე ს. ჭირაქაძემ შეკრებილთ ,მოკლედ გააცნო სათვისტომოს დაარსების ისტორია და ამ ხნის განმავლობაში, ასოციაციის პოლიტიკურ, კულტურული და საქველმოქმედო საქმიანობა.

დასასრულ ნაჩვენები იქნა, აქაურ ქართველთა ცხოვრებიდან გადაღებული ფილმები. ფილმების გადაღებისათვის ბატონ არმან გატის დიდი მადლობა გამოეცხადა.

დღესასწაულმა კარგად ჩაიარა. ყველა ნასიამოვნები დაიშალა.

დ. ქიმერიძე.

ვიქტორ ნოზაძის გარდაცვალება

ქართულმა ემიგრაციამ დიდი და აუნაზღაურებელი ზარალი განიცადა. დავკარგეთ დიდი მეცნიერი — ჰუმანისტი, ბრწყინვალე პუბლიცისტი, დამსახურებული პოლიტიკური მოღვაწე ვიქტორ ნოზაძე,

მიუხედავად ხანდაზმულობისა, განსვენებული, სულ უკანასკნელ დღემდე ახალგაზრდული აღტკინებით მუშაობდა მისი მეექვსე შრომის, „ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება“-ს დაბეჭდვაზე, და არავინ არ მოელოდა მის ასე ჩქარ აღსასრულს. მოკლე იყო მისი ავადმყოფობა, 8 დღე დაჰყო ქალაქ არპაჟონის ჰოსპიტალში. გარდაიცვალა ა. წ. 24 აპრილს, ხოლო მისივე ანდერძის თანახმად, შაბათს 26 აპრილს, დილის 8 საათზე, ახლო მეგობრების და ნათესავების დასწრებით მიაბარეს ლევილის ძმათა სასაფლაოს.

გადმოხვეწილობის მეტად მწირ პირობებში, ყოველგვარ ხელშეწყობის გარეშე, მარტოდმარტომ (იქ სადაც საჭიროა მასალების შემკრებთა მთელი გუნდი), ურყევი გადაწყვეტილების და მტკიცე ნებისყოფის წყალობით, ვ. ნოზაძე, სამშობლოს უძღვნის მონუმენტურ შრომებს, უკვდავი ვეფხისტყაოსნის შესახებ. „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“, ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“, „ვ. ტ. ვარსკლავთმეტყველება“, „ვ. ტ. საზოგადოებათმეტყველება“, „ვ. ტ. ღმრთისმეტყველება“ უკვე გამოცემული ეს ტომები მათ ავტორს ანიჭებენ უდავო აღიარებას და დიდ ავტორიტეტს რუსთველოლოგიაში,, როგორც იქ სამშობლოში, ისე აქ უცხოეთში.

უამრავი ფანტაზიური (ხშირად ურთიერთ საწინააღმდეგო) აზრებისა და შეხედულებების შემდეგ, აკადემიურ მეცნიერული მეთოდით ვ. ნოზაძემ დაამტკიცა: 1) ვ. ტ. შექმნის არე არის საქართველო, 2) ვ. ტ. არის ორიგინალური ქართული ნაწარმოები, და ბოლოს, ვეფხისტყაოსანის მრწამსი და ტერმინოლოგია სრულიად შესატყვისია საშუალოსაუკუნოების ქართული ქრისტიანიზმის. ერთი სიტყვით, ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს საშუალოსაუკუნოების ქრისტიანულ საქართველოს ორგანულ ნაყოფს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ვ. ნოზაძეს თითქმის მზად ჰქონდა, მე-6 ტომი, „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება... ამჟამად ის იბეჭდება. ამის გარდა, განსვენებულს დარჩა სხვა ბევრი ხელნაწერი, რომელთა გამოცემაც ემიგრაციის საპატიო მოვალეობაა.

ეჭვი არ არის, როცა ყველა ეს თხზულებანი საჯარო გახდებიან, ვ. ნოზაძის, როგორც მკვლევარ-მეცნიერის მნიშვნელობა კიდევ უფრო საცნაური გახდება.

მიქტორ ნოზაძე როდი იყო მარტო წარსულის მჩხრეკელ-მკვლევარი, ის აქტიური მონაწილე იყო თანამედროვეობისაც.—რუსეთში, თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე. — ის ტოვებს მოსკოვის იურდიულ ფაკულტეტს, ბრუნდება სამშობლოში და ებმება აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში. აქედან მოყოლებული, ვ. ნოზაძე დაუცხრომლად იღწვის ახლად მოპოებულ თავისუფლების განმტკიცებაში.

მთავრობის მიერ უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად გამოგზავნილი, იგი დაპყრობილ სამშობლოში არ ბრუნდება და ნახევარი საუკუნის განმავლობაში, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, გულგაუტეხელი იბრძვის და იღწვის ქართველი ერის შელახულ უფლებების მოსაპოვებლად. განსვენებული განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჟურნალიზმში. მის კალამს ეკუთვნიან უამრავი სტატიები, ბროშურები, წიგნები, დაწერილნი დიდი ცოდნით, იშვიათი გონებამახვილობით და უაღრესი კეთილსინდისიერებით. საკმარისია დავასახელოთ კრებული „კავკასიონი“ რომ მისი რედაქტორ-გამომცემლის დიდი როლი და მნიშვნელობა მის თანამედროვეობაზე დავახასიათოდ.

ვიქტორ ნოზაძემ დიდი სამსახური გაუწია „თავისუფლების ტრიბუნა“-საც. მისმა ავტორიტეტულმა წერილებმა დიდი სტიმული და ეგრედწოდებული ნათლობა მისცა ჩვენს დამწყებ ორგანოს. „თავისუფლების ტრიბუნა“ არ დაუვიწყებს მას, მის ამ ამაგს. ჩვენი ღრმა რწმენაა, არც სამშობლო დაუვიწყებს, მას მის დიდ ამაგს, და თავის ღირსეულ შვილს უკვდავების მინიჭებით მადლიერ კალთას გადააფარებს.

გიორგი წერეთელი.

ჟურ. ქრ. 1975 ივლისი, №8



პოეტი გიორგი გამყრელიძე

შვილის სიკვდილს დედის გული რაღაც უხილავის წინაგრძნობით შეიცნობსო — ასე თქმულა ოდითგან თუ ეს ასეა, 19 მაისს, დედა-საქართველოს კიდევ ერთხელ ჩაეთუთქა უბედობისაგან ისედაც დაჩაგრული გული; —ამ დღეს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 72 წლის ასაკში, დასავლეთ გერმანიის ქალაქ მიუნხენში გარდაიცვალა , უცხოეთში მცხოვრები ცნობილი ქართველი პოეტი, ტკბილად მოსაუბრე და ღრმად მცოდნე საქართველოს მწერლობისა, დიდად განსწავლული ადამიანი — პოეტი და მთარგმნელი გიორგი გამყრელიძე.

შეწყდა გულისძგერა ადამიანისა, რომელიც ათეული წლების მანძილზე, თავისუფალი საქართველოს საკუთხეველზე იწვოდა და იფერფლებოდა. ადამიანისა, რომელიც არწივის კლანჭებში მოქცეული, დატყვევებული დედა-სამშობლოს უმწეო ცქერას უცხოეთში გარდახვეწილის მძიმე ხვედრს ამჯობინებდა. სწორედ ასეთი გახლდათ პოეტი გიორგი გამყრელიძე.

იგი დაიბადა 1903 წელს ზემო იმერეთში. საშუალო განათლება მიიღო ქათაისის ქართულ გიმნაზიაში. 1922 წელს, სასწავლებლად წამოვიდა გერმანიაში და შევიდა ქალაქ კეტენის ტეხნიკურ სასწავლებელში, სადაც სწავლა დაამთავრა 1927 წელს. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას ის არ შეურიგდა; გადაწყვიტა გერმანიაში დარჩენილიყო, სადაც ცოლად შეირთო გერმანელი ქალი, — მეტად სათნო და კეთილი, ფრიად მოყვარული და პატივისმცემელი ქართული კულტურისა და ადათ-ჩვევებისა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გ. გამყრელიძე მეუღლითურთ საცხოვრებლად გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც იგი წლების მანძილზე მუშაობდა რადიო-სადგურ „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციაში, რომლის დახვეწილ და შინაარსიან საუბრებს სხვადასხვა თემებზე და უწინარეს ყოვლისა ქართული ლიტერატურის საკითხებზე, უსათუოდ დიდი ინტერესით ისმენდნენ სამშობლოში.

პენსიაზე გავიდა 70 წლის ასაკში, რის შემდეგ მეუღლესთან ერთად დაბრუნდა დასავლეთ გერმანიაში და ცხოვრობდა ქ. მიუნხენში.

პოეტური ნიჭი და გაქანება გიორგი გამყრელიძემ ჯერ კიდევ საქართველოში ყრმა ჭაბუკმა გამოამჟღავნა. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1919 წელს, ცისფერ ყანწელების ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“. ამ პერიოდში მას ახლო მეგობრობა ჰქონდა ქართველ პოეტებთან: გაფრინდაშვილთან, გალაქტიონთან, ტიციანთან და სხ. ცნობილ ცისფერყანწელებთან. გამყრელიძის ლექსების პირველი კრებული — „შემოდგომის ჰიანურები“ დაბეჭდილ იქნა თბილისში, 1920 წელს. მეორე კრებული — „ლურჯი მონოკლი“, გამოცემულ იქნა პარიზში 1932 წელს. 1960 წელს, სანტიაგო ჩილეში გამოდის პოეტის კიდევ ერთი ლექსების კრებული, სათაურით „გვიანი რთველი“, ხოლო 1963 წელს ვაშინგტონში იბეჭდება გ. გამყრელიძის უკანასკნელი წიგნი: „ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“. ამასთან, მრავალი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა საშუალებას აძლევდა გ. გამყრელიძეს ქართულად ეთარგმნა უცხო პოეტების ქმნილებები რომელთა შორის აღსანიშნავია „ფაუსტის“ ერთი ნაწილის, გამყრელიძისეული, თარგმანი რომელიც მაღალი პროფესიული ოსტატობითა და თარგმანის უზადო ტექნიკითაა შესრულებული. ამ თარგმანის ნაწილი დაბეჭდილი იქნა პარიზში გამომავალ ჟურნალ „კავკასიონში“, მაგრამ თარგმანის სრული ტექსტი ცალკე წიგნად, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით გამოცემული არ არის.

კითხულობთ გ. გამყრელიძის ლექსებს და თქვენს წინაშე წარმოსდგება ქართული სიტყვაკაზმული ხელოვნების ნიჭიერი ოსტატი, რომლის პოეტური არსენალი მეტად მდიდარია და მრავალფეროვანი, პალიტრა — ფერთა სიუხვითა და კოლორიტით დამშვენებული, მთავარი ლეიტმოტივი კი ,რომელიც წითელი ზოლივით გასდევს მთელს მის შემოქმედებას, დედა-სამშობლოსადმი უსაზღვრო და უანგარო სიყვარულია. მრავალის მნახველი პოეტის არსებაში ვერაფერს ვერ დაუჩრდილავს დაუოკებელი სიყვარული საქართველოსადმი. ლექსში „ზღაპარი თბილისზე“ — პოეტი ასე მიმართავს საქართველოს დედაქალაქს:

„. . .შენ გენაცვალოს ქალაქი ყველა,
ჯობიხარ რიოს, ვაშინგტონს, პარიზს. . .
თავზე მთაწმიდა გადგია მცველად;
ძირს ტალღებს არწევს დუდუნით მტკვარი. .

თუ ვარსკლავებით შემოგარსული
ცა, თავს დაგყურებს ლურჯი კამარით,
შენ გესიზმრება დიდი წარსული;
დავითის ხმალი... დროშა თამარის“.

წერს პოეტი, რომელსაც საქართველოს წარსული დიდება და ოცნება დამოუკიდებელ საქართველოზე სიზმარ-ცხადად გადაქცევია. ამიტომაც უყვარდათ ასე ძალუმად უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს გ. გამყრელიძე.

მისი ყოველი ლექსი თუ ლექსთა კრებული მათთვის უდიდეს სულიერ საზრდოს წარმოადგენდა. განსაკუთრებული ახლო და თბილი დამოკიდებულება ჰქონდა გიორგი გამყრელიძეს აწ განსვენებულ ცნობილ ქართველ მწერალ—გრიგოლ რობაქიძესთან, რომლებიც ურთიერთ წერილებში საქართველოს საერთაშორისო საკითხებზე თავიანთ აზრებს უზიარებდნენ ერთმანეთს. ეს წერილები დაცულია და ინახება გ. გამყრელიძის პირად არქივში.

საერთოდ ოპტიმისტსა და სულით ძლიერ პოეტს, სამშობლო ქვეყნისა და საკუთარი ბედის უკეთესობის გამო არა ერთხელ დასცდენია გმინვა და წუხილიც. თავის ერთ-ერთ ლექსში — „ყვირილა“ პოეტი ასე წერდა:

„მე ის ლერწი ვარ ვაზისაგან ჩამოკვეთილი,
გადაგდებული რომ სტიროდა ვენახში მწარედ“.

დიახ, სტიროდა სამშობლოს გულისაგან აგლეჯილი პოეტი, სევდისა და მწუხარების ამ მორევში იშვა ის პოეტური მარგალიტები, რომლებიც გ. გამყრელიძემ მშობელ ხალხს დაუტოვა ანდერძად.

ეჭვი არ არის, თავისუფალი საქართველო, მადლიერი ქართველი ხალხი, უცხოეთში დაკრძალულ სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, გიორგი გამყრელიძის ნეშთსაც გადაასვენებს სამშობლოში და ქართულ მიწას მიაბარებს მას, ხოლო მის პოეტურ ქმნილებებს, რომელთაგან მრავალი ჯერ კიდევ გაბნეულია, უცხოეთში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში, თავს მოუყრის და სათანადო ადგილს მიუჩენს ქართულ პოეზიის საგანეში.

ამიტომაც, დღეს მთელი ქართველი ხალხის სიტყვებად გვესმის გ. გამყრელიძისათვის, მისი პოეტური ნიჭის ერთ-ერთი თაყვანისმცემლის მიერ მიძღვნილი ორსტროფიანი ლექსი:

„დრო მეფობსო და არა მეფე, უთქვამთ წინაპართ,
მართალიც არის, უკვდავება აბა ვინ ჰპოვა...
მარადიული ამ ქვეყანად ერთია მხოლოდ:
სამშობლოსათვის დაფერფლილი სიცოცხლის ხსოვნა.

სანთელ-საკმეველს თავისი გზა არ დაუკარგავს
და არც შენს ლექსებს დაჰკარგავენ საქართველოში,
შენ ხომ ლერწი ხარ სამშობლოსგან ჩამონაკვეთი,
გადაგდებული რომ სტიროდი უცხო მხარეში“.

ირაკლი გავაშელი.
მიუნხენი. მაისი 1976.

კონსტანტინე გამსახურდია
ქართული ენის დიდი ოსტატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი ქართველი სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ის, უსათუოდ განიცდის დიდ მწუხარებას კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალების გამო.

დასრულდა დიდი შემომქმედის ცხოვრება, რომელიც უზომოდ მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. სამუდამოდ წავიდა მწერალი, რომელმაც ჩვენი გული მრავალჯერ გაახარა და დაამწუხრა.

უაღრესად განათლებული, მრავალ უცხო ენათა მფლობელი, დიდი მოგზაური, ქვეყნების კარგი მცნობი. უნიჭიერესი შემოქმედი, ტიტანიური ენერგიით აღჭურვილი.

მხოლოდ ასეთ კაცს შეეძლო დაეტოვებია ასეთი მონუმენტალური უკვდავი ნაყოფი. მისი „დიდ ოსტატის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“, მას კლასიკოსთა შორის, საპატიო ადგილს დაუმკვიდრებს.

ჩვენი ახალგაზრდობა და მომავალი თაობა ისევე შეისწავლის მას, როგორც დღეს სწავლობს: ვეფხისტყაოსანს, ოთარაანთ ქვრივს, ბაშიაჩუკს და შვლის ნუკრის ნაამბობს.

კონსტანტინე გამსახურდია არ იყო მხოლოდ რომანისტი. მან პირველმა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში ესსეისტური ჟანრი.

შესანიშნავია მისი წერილები: ილიაზე, გეოთეზე, იბსენზე, არტურ ლეისტზე. მან ღირსეული პასუხი გასცა რუს კრიტიკოსს შელოვსკის, რომელმაც მას ნაციონალური შეზღუდვა დაუბრალა.

კონსტანტინე გამსახურდია გატაცებით ირკვევდა დავიწყებულ ძველ ქართულ სიტყვებს და თანამედროვე მწერლობაში შემოჰქონდა.

მისი სახელი უკვდავია ქართულ ლიტერატურის ისტორიაში.

კონსტანტინე ბატონო! მორიდებულად, ამბორით ვეთხოვებით თქვენს მაღალ, გონიერ კეთილშობილ შუბლს. დიდება თქვენ მარადიულ სულს.

გიორგი ნოზაძე.

კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალება

სამშობლოდან ძალიან ცუდი ამბავი მოვიდა:

გარდაიცვალა თანამედროვე ქართული მხატვრული მწერლობის დიდოსტატი, საქართველოს გარდასულ დიდებათა დიდებული სახეების უებარი და თავისებური მხატვარი კონსტანტინე გამსახურდია.

ა/წ. 22 ივლისს, ზღვა თაყვანისმცემელთა პროცესიამ, მისი საყვარელი ავტორის ნეშტი, მიაცილა მის საბოლოო განსასვენებელს, „კოლხური კოშკის“ ეზოში, თბილისში.

ენას ძვალი არა აქვს და საქართველოს დღევანდელ ოფიციალურ ტენორებს ვინ დაუშლის აწდამუნჯებული

დიდი შემოქმედი თავიანთ დასაძრახ სამსახურში ჩააყენონ. მაგრამ ქართველმა ხალხმა კარგად იცის ვისთვის და რისთვის ცემდა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“ და „დავით აღმაშენებელი“-ს ავტორის კეთილშობილი გული. საოკუპაციო ხელისუფლების მიერ გამოძალული ზოგიერთი უმნიშვნელო განცხადებები ჩრდილს ვერ მიაყენებენ და საერთო სურათს ვერ გამოცვლიან. კ. გამსახურდიას შეიძლება დაეთანხმო, ან დაუწუნო მისი შემოქმედების ესა თუ ის დეტალი, მაგრამ მთელი მისი ხანგრძლივი ცხოვრება და მდიდარი შემოქმედება გააზრებულია და ემსახურება ქართველ ახალგაზრდობის ღრმა პატრიოტულად აღზრდის სულისკვეთებას. ამიტომ უყვარს ის ქართველ ახალგაზრდობას. ამ ახალგაზრდობას შეგვიძლია სრული ნდობა გამოუცხადოთ და საქართველოს მომავალზე ეჭვი არ შეგვეპაროს.

კონსტანტინე გამსახურდია დაიბადა 5 მაისს, 1891 წ. სოფ. აბაშაში. წარმატებით დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია, რის შემდეგაც, სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ჯერ პეტროგრადის უნივერსიტეტში და შემდეგ კი დასავლეთ ევროპაში. ბერლინის უნივერსიტეტში დაამთავრა ფილოლოგიური ფაკულტეტი, რის შემდეგაც ევროპის სხვა და სხვა უნივერსიტეტებში ისმენდა ლექციებს: ისტორიის, ფილოსოფიის, ხელოვნებათმცოდნეობის და სხვა ჰუმანიტარულ დარგებში.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, კ. გამსახურდია ებმება შემოქმედებით მოღვაწეობაში, წერს ლექსებს და პატარ-პატარა მოთხრობებს. უკვე დამწიფებულ შემოქმედის, კ. გამსახურდიას თხუზულებების ფორმა და შინაარსი, მის ერუდიციასავით ფართოა და მრავალმხრივი, მაგრამ ყველაზე მეტად მას სახელს მოუპოებენ ისტორიულ ქარგებზე დაწერილი რომანები: „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა„ და „დავით აღმაშენებელი“.

კონსტანტინე გამსახურდიას თანამედროვე თემატიკაზე დაწერილი რომანებდან აღსანიშნავია „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“ და „ვაზის ყვავილობა“.

ხოლო კ. გამსახურდიას თარგმანებიდან: დანტე ალიგჰიერის „ღვთაებრივი კომედია“, გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ და გერმანული ეპოსი „ნიბელუნგები“, რომელიც მან თარგმნა პოეტ კონსტანტინე ჭიჭინაძესთან ერთად.

მიხეილ ქავთარაძე.

გამოხმაურება ლევან ზურაბიშვილის გარდაცვალების გამო.

ა. ბ. ნ-ის (ერთა ანტიკომ. ბლოკი) ორგანო „კორესპოდანს“-მა, 1975 წ მარტისა და აპრილის ნომერში ,ვრცელი ნეკროლოგი მიუძღვნა ლევან ზურაბიშვილს; გამოაქვეყნა განსვენებულის სურათი და სამძიმარი, რომელსაც ხელს აწერდა ა. ბ. ნ-ის ცენტრალური კომიტეტი.

*

კაზაკთა განთავისუფლების ორთვიურმა ორგანომ „კაზაკ“-მა, ა/წ. მარტის ნომერში, ნეკროლოგი მიუძღვნა ლევან ზურაბიშვილს და სამძიმარი გამოუცხადა მის დამწუხრებულ ოჯახს.

*

ფრანგ დემოკრატ-სოციალისტების ორგანო, „პრეზანს სოციალისტ“-მა, რომელსაც დოქტორ ლეონ ბუტბიენი ხელმძღვანელობს, ივნის-ივლისის ნომერში მოათავსა შემდეგი ცნობა: 24 მაისს პარიზში იდღესასწაულეს საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობის დღე. ეს დამოუკიდებლობა გამოცხადებულ იქნა 1918 წლის 26 მაისს და იგი უხეშად დაარღვია წითელი არმიის შემოსევამ და ქვეყნის ოკუპაციამ 1921 წელს.

„პრეზანს სოციალისტ“-ის წარმომადგენელი დაესწრო ამ დღესასწაულს, რომ გამოეთქვა მისი სიმპატიები ქართველი ხალხის მიმართ, რომლის ანექსიითაც დაიწყო სხვა თავისუფალ ხალხთა მოქცევა ჩექმის ქვეშ.

რამოდენიმე კვირით ადრე, 1975 წ. 10 თებერვალს, სამძიმრით მივმართეთ ქართველთა ასოციაციას, რომელსაც განსვენებული ლ. ზურაბიშვილი, მრავალი წლის განმავლობაში დიდი უნარით ხელმძღვანელობდა, ასევე ოჯახსა და მის მეგობრებს.

ქართველმა საზოგადოებამ პარიზში, მრავალ დაბრკოლებათა მიუხედავად, შესძლო წმინდა ეროვნული სახის შენარჩუნება, რომლის გრაცია და სილამაზეც, ქართველ ქალ-ვაჟთა მიერ შესრულებულ ქართული ცეკვების ხილვით ჩვენ განვიცადეთ. ამ ახალგაზრდებმა მაყურებლებს უჩვენეს კავკასიური ცეკვების ნამდვილი ბუნება და ხასიათი.

აქვე ცნობად აღვნიშნავთ, რომ ქართულ ენაზე რეგულიარულად იცემა გაზეთი „თავისუფლების ტრიბუნა“, ბ-ნ გ. წერეთლის ხელმძღვანელობით.

ქართველები უცხოეთში

ჟორჟ ბალანჩივაძის წარმატება.

14 მაისს, ნიუ-იორკის სიტი-ბალეტმა დადგა ჟორჟ ბალანჩივაძის (ბალანჩინი) ახალი ბალეტი ,გამართული რაველის მუსიკაზე, რომელსაც ეწოდება ხოტბა რაველს (ომაჟ ა რაველ).

საღამოს დაესწრენ: ქ-ნი ემონ ჟისკარ დ, ესტენი (საფრანგეთის პრეზიდენტის მეუღლე), ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი როკფელერი ცოლით, დოქტორი კისინჯერი და სხვა მრავალი თვალსაჩინო პირი.

ამავე საღამოს, საფრანგეთის ელჩმა ვაშინგტონში, ჟაკ კოსიუსკო-მორიზემ, თავისი მთავრობის სახელით, გამოჩენილ ბალეტმეისტერს, გადასცა საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ოფიცრის ჯვარი.

ვალიკო ჩუბინიძის მოგონებების გამო

(გავრძელება. იხ. თ. ტ. №5 და №6).

ვიდრე ჭიათურის გამოსვლაზე ვიტყოდე რამეს, ვალ. ჩუბინიძის „მოგონებაში“, ზოგი რამ წინასწარი ფაქტიური შესწორება. ვალიკო ჩუბინიძის მოგონების 258—259 გვ. არის: „9 აგვისტოს დილას, ჩამოყვა მატარებელს გიორგი წერეთელი, რომელმაც დაწვრილებით გვიამბო ვ ჯუღელის დაჭერის ამბავი და ამასთანავე შეგვატყობინა აჯანყების დღე დანიშნულია 15 აგვისტოსო, მაგრამ მალე მივიღეთ ცნობა აჯანყება გადადებულიაო.“ იქვეა: „17 აგვისტოს 1924 წელს, ცეკას დავალებით ჩამოვიდა ლადო გიორგობიანი, რომელმაც თბილისში წაიყვანა ჩვენი გიორგი წერეთელი. გიორგი წერეთელი დაბრუნდა 23 აგვისტოს და გვითხრა: რომ აჯანყება დანიშნულია 28 აგვისტოსო.“ არც ეს დატები, არც ვითომდა ჩემი ნალაპარაკები არ შეესაბამება სინამდვილეს. ისინი არეული არიან ერთმანეთში. ლადო გიორგობიანი ჩამოვიდა 3 აგვისტოს. მე სოფელში ვიყავი, მოვიდა ვანიჩკა ფხალაძე, მითხრა: ამ წუთში უნდა წამოხვიდე, დავალება მაქვს — თუ გარედ იყოს სახლში აღარ შევიდეს ისე წამოვიდესო. მგონი თბილისიდან არის ვილაცაო. ლადო იმავე საღამოს გაბრუნდა — მე წავედი თბილისში 4--საღამოს, შემდეგ არ დავბრუნებულვარ 25-დე, არც შემეძლო დაბრუნება. ერთი ვალიკო დაიჭირეს,მეორე ფულის თაობაზე ზოგი ფორმალობა იყო საჭირო. (ფულის თაობაზე დაწვრილებით მოხსენება მივართვი ნოე ჟორდანიას. მგონია, ის მოხსენება არქივში უნდა იყოს.) მესამე, ვანო ღლონტი გამოვიდა ციხიდან დავალებით. მას უნდა ენახა დამკომის ხელმძღვანელი, ეს კი უნდა მომხდარიყო დამკომის კავშირის საშუალებით, ის კი უნდა მორიდებოდა ღლონტთან შეხვედრას, აქ საჭირო იყო ჩემი ჩარევა. ყველა ამიტომ არ შემეძლო ჩამოსვლა და კიდეც რომ ჩამოსულიყავი არამც თუ ვალიკოსთვის, არვისთვის არ შემეძლო მეთქვა: აჯანყება დანიშნულია 15 აგვისტოსთქვა, რადგანაც ახლაც არ ვიცი იყო თუ არა 15 აგვისტოსთვის დანიშნული აჯანყება. ამნაირათ, არც 9 აგვისტო, არც 17 და არც 23 და არც თითქოს ჩემი ნალაპარაკევი არ შეესაბამება სინამდვილეს.

მიუხედევათ ყველა ამისა, ეს არ ცვლის არსებითათ ვ. ჩუბინიძის მოგონებაში მოთხრობილ ამბებს.

1924 წელს, 24 აგვისტოს, ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, თბილისში ფოსტის პირდაპირ, წყნეთის ქუჩის დასაწყისთან, გერმანე ღლონტმა გადმომცა გაზეთი „კომუნისტი“, რომელზედაც ეწერა: **„28 აგვისტო, ნაშუაღამევის ორი საათი“**. მეორე გვერდზე, ბოლოში: **იწყება ქეიფი“**. და დაამატა: „თუ ცვლილება რამე მოხდა შეგატყობინებთ“. და გამშორდა. თანახმად დამკომთან შეთანხმებისა ეს წარწერა ნიშნავდა მოქმედების დაწყებას. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა აღშფოთებას გამოიწვევდა ჩემში ასეთი მოკლე დრო..

საღამოს უნდა წავსულიყავი ჭიათურაში. შესაძლებელია დამიჭირონ, ამიტომ წამოვიყვანე რამოდენიმე პიროვნება, მათ შორის გრიგოლ ფხალაძე და შ. რ. თუ ვინცობაა დამიჭირეს, მათმა რომელიმემ, უნდა გადასცეს შ. ბ-ს, და ის მიიღებს სათანადო ზომებს. გზაში შ. რ-ს ვუთხარი: საჭიროა მოქმედების გეგმათქო. ჭიათურაში ჩავედით 25 დილის 10 საათზე. (გზაში არავითარ ინციდენტს არ ქონია ადგილი, რაც იშვიათი მოვლენა იყო). სადგურიდან პირდაპირ გავუარე შ. ბ-ს. 15 იანვარს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ შ. ბ. ჭიათურაში იყო, და ჭიათურის ს. დ. კომიტეტში შემოდიოდა კოოპტაციის ფორმით, მისი საშუალებით შეიკრიბა მთელი ხელმძღვანელობა, 12 საათზე. კომიტეტს მოხსენდა ყველაფერი. კომიტეტმა მწუხარება გამოთქვა დროს სიმცირის გამო, მაგრამ გადაწყდა დაუყონებლივ შედგომოდა საქმეს. შ. რ. წარმოადგინა მოქმედების გეგმა. ის ასეთი იყო: ჭიათურაში, შეჯგუფებული ძალებია პარტკომში, ჩონში, პროფ. კავშირში, ალმასკომში, მილიციაში და ჩეკაში. ყველა ამათზე, ერთ და იმევე დროს უნდა მოხდეს თავდასხმა. უსათუოდ იქნება ხელჩართული ბრძოლა. ყველაზე მეტი იარაღიანი ძალაა მილიციაში. იქვე ახლოსაა ჩეკა. მისი ძალა გაიზომება მცველებისაგან. იქ სხედან ჩვენი ამხანაგები. ვიცით რა ბოლშევიკების ვერაგობა, საქმე ისე უნდა მოგვარდეს, რომ მილიციამ და ჩეკამ ვერ შეძლოს ხელჩართულ ბრძოლაში ჩარევა. ამიტომ, იქ უნდა გავუმართოთ პოზიციური ბრძოლა, რომ ისინი იყონ ციცხლის ქვეშ და ვერ გამოვიდნენ გარეთ. ამით ნაკლები მსხვერპლიც იქნება და ხელჩართულთ გაუადვილდებათ მოქმედება. გათვალისწინებული იყო ყველა წვრიმალები თუ როგორ სახლებშივე უნდა დაეტუსაღებიათ პასუხისმგებელნი, ვისაც ინციატივის გამოჩენა შეეძლო და სხ. კრებამ, ზოგიერთი შესწორებით მიიღო სამოქმედო გეგმა, გადაწყდა საღამოს ყველა უბნებში მომხდარიყო კრებები. შეეგროვებიათ ცნობები. როგორც კომიტეტის, ისე სხვებიც მოედვენ მთელს მხარეს. ორ საათზე ჭიათურის დამკომის კრებაა. კრებას ყველა წევრები დაესწრენ დამკომს მოხსენდა მდგომარეობა და ჭიათურის ს.დ. კომიტეტის გადადგმული სასწრაფო ნაბიჯები, დამკომმა მწუხარება გამოთქვა დროს სიმოკლის გამო და თავის მხრითაც გადაწყვიტა მიეღო ზომები. დაისვა კითხვა მოქმედების დაწყების დროს შესახებ. კრებას წარედგინა გაზეთი „კომუნისტი“. როგორ უნდა იქნეს გაგებული 28 ნაშუაღამევის ორი საათი? თითქმის ყველამ იმუსაიფა ამ კითხვაზე და ბოლოს მიიღეს ა. გ-ს ნათქვამი: „დღეღამეს აქვს 24 საათი, დღე თავდება ღამის 12 საათზე, იწყება მეორე დღე პირველ საათზე. ამნაირათ დღესა აქვს მხოლოდ ერთი ნაშუაღამევის ორი საათი, ეს არის გამთენია. სხვა ნაშუაღამევის ორი საათი არ არსებობს. მიიღეს ეს ყველამ და ამნაირათ მოქმედება იწყება 28, ნაშუაღამევის ორ საათზე. (ე. ი. დილის ორ საათზე). ალსა-

ნიშნავია ერთი ამბავი, მთავარ დამკომიდან იყო მიღებული, რომ ყველა ეროვნულად განწყობილთ ერთად ემოქმედათ, ამას იზიარებდა ჭიათურის დამკომიც, მაგრამ მოულოდნელად ფედერალისტების ერთმა რწმუნებულმა განაცხადა: „ჩვენი პარტიის ჯგუფი სრულიად დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას გამოსვლებშიო“. კრება გაკვირვებული დარჩა. კამათის დრო აღარ იყო, კრება დაეთანხმა და დაიშალა.

26 აგვისტოს 10 საათზე შეიკრიბა ჭიათურის ს. დ. მ. პ. კომიტეტი. გაკეთდა მოხსენება ყველა უბნებიდან, აგრეთვე დამკომიდანაც. კომიტეტი გაკვირდა ფედერალისტების განცხადებით, მაგრამ დამტკიცა დაკმაყოფილდეს, მათი მოჩვენებითი ამბიციები. საქმეს ხელი არ შეეშალოსო. ყველა უბნებიდან დამაკმაყოფილებელი ცნობებია. ისიც გამოირკვა: სამხედრო კომისიას არავითარი არ უმოქმედია რა და არც შეიარაღებული დევნილთა ჯგუფები არ არსებობენ .

თანახმად მიღებული გეგმისა, ყველა კუთხეებისათვის დაინიშნა ხელმძღვანელები. მომქმედ ხელმძღვანელებს ალეკეენ ადგილობრივი ორგანიზაციები. ყველა უბნის ხელმძღვანელისათვის დაინიშნენ კავშირები. გადაწყდა ყველა უბნის ხელმძღვანელების მოწვევა, რომ ცოდნოდათ ვინ სად მოქმედობს და მიეღოთ პაროლი. ნაშუადღევის ოთხ საათზე მოხდა ყველა უბნის ხელმძღვანელების კრება. ამ კრებაზედაც ფედერალისტებმა კიდევ მოითხოვეს ენერგიულად, რომ მათი ჯგუფი ცალკე შეეჯგუფებული მიიღებს გამოსვლაში მონაწილეობას პატრა, მაგრამ ძალიან პატრიოტული რეჩიკ იყო ნათქვამი, რომელიც დაამთავრა: „ჩვენ ყველანი თავს დავდებთ სამშობლოსათვისო“. თანახმად გეგმისა მოითხოვეს პირველ უბანზე წასვლა — ისინი წავლენ თირში, ჭიათურიდან დაახლოვებით სამ ვერსზე დაშორებით. იქ მატარებლის ბაქანებზე შევლენ, რომელიც შორაპნიდან მოდის დილის სამ საათზე. მოვლენ ჭიათურაში, გაისვრიან თოფს, (ეს გასროლა არის ნიშანი საერთო მოქმედების დაწყების), განაიარაღებენ სადგურზე ორ მილიციონერს, დაიკავებენ სადგურს და იქვე მახლობლად მყოფ ფოსტას. შორაპნისკენ არც მატარებელს და არც არავის არ გაუშვებენ. ერთი სიტყვით, მოითხოვენ მათ გაისროლონ პირველად თოფი. კრება არ ეწინააღმდეგება მათ. როგორც თვითონაც ამბობს, სწორედ ამ კრებას დაესწრო ვალიკო ჩუბინიძე. როგორც ვალიკო ისე სხვებიც იძლეოდენ შეკითხვებს, რაც ჩვენთვის ბუნებრივი იყო. კოწია ჩაჩანიძე არც ერთ კრებას არ დასწრებია. ის როგორც დისციპლინის კაცი სრულად ს. დ. მ. პ. კომიტეტის განკარგულებაში იყო ყოველთვის. ვალიკომ განაცხადა: „მე შორიდან დამჭირდება მოვლა, ჩემი ნიშანი იქნება ცეცხლის გაჩენა მილიციაზე და ჩეკაზე და მევე გაცნობებთ, რომელიმე მომქმედით რაც საჭირო იქნება, ამიტომ კავშირი არ მჭირდება“-ო.

რადგან დამკომში გამოსვლების დროზე მუსაფი შეიქნა, და ღლონტმაც, გაზეთის გადმოცემის, დროს მითხრა თუ ცვლილება რამ იქნება შეგატყობინებთო, ადგიტ ქუთაისში. გიორგი ჯინორიასთან კაცის გაგზავნა. 27 დილის 9 საათზე ჩემი გაგზავნილი კაცი წერილით მასთან იყო. ვწერდი დაუყოვნებლივ შეეტყობინებია. მე კი ცნობა ტელეგრამით მივიღე 28-ს, 12 საათზე, როცა ყველაფერი გათავებული იყო. ის ვინც ჯინორიასთან იყო გაგზავნილი აქ არის, ვერ ვასახელებ, რადგან მისიანები იქ არიან, თუ ვინმე მოისურვებს და კითხავს ის დაადასტურებს. ღლონტის მიერ გადმოცემული ცნობა 28 აგვისტოს შესახებ, რომ სწორი იყო ამას ადასტურებს ისიც რომ გურიამაც ასეთი ცნობა მიიღო. შემდეგ გავიგეთ, რომ ცვლილება დროს შესახებ ზესტაფონისთვის გადმოეცათ ჩვენთვის გადმოსაცემად, მაგრამ იმათ არ გადმოეცათ. ყველაფერი ეს იცოდა ვალიკო ჩუბინიძემ არა მარტო იმ დროს, როცა თავის მოგონებებს ადგენდა, არამედ იქ — საქართველოშიც.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

გ. კ. წერეთელი

ილია და აკაკი რუსთაველის გამზირზე

„დღეიდან ისტორიას ეკვთვნი. თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, შენც სამარადისოდ უკვდავი იქნები. და თუ უნდა მოკვდეს, როგორც ეს ზოგიერთებს სურთ, მაშინ ბედნიერი ხარ, რომ მის სიკვდილს ვერ შეესწარი. მშვიდობით ძმაო!“ — აკაკიმ ხომ ლექსიც უძღვნა ილიას, „ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას, და ნუ მეტყვით რაც არ მჯერა, ნუ თუ მართლა დღეს გადაწყდა საქართველოს ბედისწერა!“

აკაკიმ, ილია და საქართველო ერთ სიმაღლეზე დააყენა, რამდენი პატივისცემა უნდა ჰქონდეს, ეროვნულ შეგნებასთან ერთად, ადამიანს მეორესადმი, რომ ამისთანა სიტყვები აღმოხდეს ბაგეთაგან. მგონი არავისათვის არ უნდა იყოს საიდუმლოება, რომ ილიასა და აკაკის შორის, უკანასკნელ წლებში, არ იყო მეგობრული განწყობილება. მაგრამ აკაკიმ, როგორც დიდმა ადამიანმა, ეროვნული საქმე პირად საქმეზე მაღლა დააყენა, სხვა „სამოციანთა“ მსგავსად. მართლაც, რა იქნებოდა საქართველო დღეს, რომ განგებას არ გამოეგზავნა სახელოვანი სამოციანები?

„ილია და აკაკი“ — „აკაკი და ილია“, ასეთი სახელწოდებით შევიდა საქართველოს ისტორიაში; დიდ სამოციანთა ეს ორი ბუმბერაზი.

ქართველ ხალხს ილიასა და აკაკის ძეგლი ერთად დაუდგამთ რუსთაველის გამზირზე. არ დაუშორებიათ ერთი მეორესაგან, ჩვენი ქვეყნის უკვდავი შვილები, რომელნიც ერთად შეებენ უღელში სამშობლოსათვის მეობის და ღირსების შესანარჩუნებლად.

თვალი რომ მოვკარი ამ სულმნათთა ქანდაკებებს, წამომცვივდა ღვარი ცრემლისა თვალთაგან. მივიჭერ და

კვარცხლბეკს ვაკოცე; მათ ფეხებს ვერ შევწვდი, სიმაღლე არ მეყო.

შესანიშნავი ხელოსნები გვყოლია ხელოვნების ამ დარგში. უკეთესად, მათ ნათელ სახეებს, ვერც ამაში გაანთქმული იტალიელები ჩამოასხამდენ ბრინჯაოსაგან. იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ცოცხალი ილია და აკაკი იდგნენ კვარცხლბეკზე და დაჰყურებდნენ, რუსლთაველის გამზირზე, ჭიანჭველასავით მიმომავალ ხალხს.

მოგზაური.

ახალი წიგნები

კიტა ჩხენკელის ქართულ-გერმანული ლექსიკონი.

ქ. ციურიხის (შვეიცარია) გამომცემლობა, „ამირან ფერლაგ"-მა, გასულ წელს დაამთავრა ქართულ - გერმანული ლექსიკონის გამოცემა, რომელიც აწ განსვენებულმა დოქტორ კიტა ჩხენკელმა დაიწყო და პირველი ტომი გამოიცა 1965 წელს. ლექსიკონი მთლიანად სამ ტომს შეადგენს, დაყოფილია 26 რვეულად და შეიცავს 2470 გვერდს. სწავლულთა საყოველთაო აღიარებით ეს ლექსიკონი ყველა სხვა ლექსიკონებზე უფრო სრულყოფილია. მასში მრავალია ისეთი სიტყვები, რომლებიც არ არიან თვით საქართველოს აკადემიის მიერ გამოცემულ ქართულ განმარტებით ლექსიკონში.

ამ შესანიშნავი ნაშრომის დამთავრებას უნდა ვუმადლოდეთ ქალბატონებს: იოლანდა მარშევს, ლეა ფლურს და რუთ ნოიკომმს, რომლებმაც ღირსეულად გააგრძელეს და დააგვირგვინეს, მათ მასწავლებლის — კიტა ჩხენკელის მიერ დაწყებული საშვილიშვილო საქმე. ასევე, აწ განსვენებულმა ვიქტორ ნოზაძემ დიდი წვლილი შეიტანა ამ ლექსიკონის გამოცემაში.

ციურიხელ სამივე ქართველოლოგს ვულოცავთ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდეგ წარმატებებს.

გიორგი ყიფიანის შაირები ფრანგულ ენაზე.

გამომცემლობა „ლა პანსე უნივერელმა" ახლახან გამოსცა პოეტ გიორგი ყიფიანის ლექსები ფრანგულ ენაზე: **„ან პოეტ ჟეორჟიენ ა პარი"**. მისი შეძენა შეიძლება წიგნის ყველა მაღაზიაში, ხოლო გამოწერა:

Librairie : 7, Rue des Carmes, 75005 PARIS - Tél. 033.75.95

წიგნი მაღალი გემოვნებით არის გაფორმებული და შედგენილი. მასში მოთავსებულია პოეტის 38 შაირი და ერთი მოთხრობა.

მთარგმნელნი: ირენ ყიფიანი, ასმათ ფალავა და ნეტარხსენებული ლევან ზურაბიშვილი

ხუთ ივნისს, 22 საათზე, რადიო ლუქსენბურგმა მსმენელთ გადასცა წიგნის გამოცემის შესახებ და ჭაშნიკად წაიკითხა ერთ-ერთი შაირი. გაზეთებმა: „ლ, მონდ", „მაგაზენ ლიტერერ", „ბიბლიოგრაფი დე ფრანს" გამოაცხადეს ეს მოვლენა, ხოლო მონტეკარლოს ტელევიზიამ გადაიღო ფილმი, რომელშიც ახლო მომავალში, სხვა მწერლებთან ერთად, საუბარი მოეწყობა გ. ყიფიანის პოეზიის შესახებ.

„თავისუფლების ტრიბუნა" სიხარულით ეცალმება ამ მნიშვნელოვან მოვლენას და ავტორს უსურვებს კიდევ ახალ წარმატებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ზღაპრები გერმანულად.

გასულ წელს, გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში (ქ. იტცეჰოე), გამომცემლობა „ქართველომ" (გეორგიშე ვერლაგ), გამოსცა „ქართული ზღაპრები"-ს წიგნი გერმანულ ენაზე. წიგნი შეადგინეს, თავისუფლად თარგმნეს და გამოსცეს ქალბატონმა ლილი გეგელაშვილი-პაპემ და ბ-ნმა ნიკოლოზ ჯანელიძემ. ეს წიგნი ქალბატონმა ლილიმ მიუძღვნა თავის ერთადერთ ვაჟს ულრიხს ხსოვნას, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ წიგნის შედგენაში, და რომელიც სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა 1973 წელს. „ქართულ ზღაპრებს" აქვს საუცხოო ყდა, დაბეჭდილია ძვირფას ქაღალდზე და აქვს მშვენიერი გაფორმება. ამ წიგნის მრავალი ილუსტრაციები საუცხოოდ არიან შესრულებულები გერმანელი მხატვრის იოჰან კოლტცის მიერ, მხატვარ გუდიაშვილის მოტივებზე. „ქართული ზღაპრების" წიგნი შეიცავს 29 ქართულ რჩეულ ზღაპარს, მას ბოლოში დართული აქვს მოკლე ცნობები საქართველოს და ქართველი ხალხის რაობაზე, ვინაობაზე და მდგომარეობაზე.

გერმანული პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ წიგნის გამოცემას, ასევე გერმანიის ტელეხედვამ ორი გადაცემა მიუძღვნა მას.

„ქართული ზღაპრების" მთარგმნელ - გამომცემლებს ვულოცავთ წარმატებას და ვუსურვებთ ასე ნაყოფიერად გაეგრძელებიოთ ქართული კულტურის პოპულარიზაცია გერმანელ მკითხველთა შორის.

ხიმართლით აწონილი სიტყვა.

ჩვენმა მეგობარმა **პავლე სარჯველაძემ** ამ უკანასკნელად გამოსცა 60 გვერდიანი წიგნაკი: „სიმართლით აწონილი სიტყვა".

ეს წიგნი მიძღვნილია: ნოე ხომერიკის, ბენია ჩხიკვიშვილის, ვასო ნოდიას, გოგიტა ფალავას და გიორგი წინამძღვრიშვილის ხსოვნისადმი და წარმოადგენს საქართველოს დამოუკიდებლობის ხანის, ზოგიერთ ისტორიულ ჭეშმარიტების დადგენას, იმ პროფესორების წინააღმდეგ რომლებიც, სამშობლოში შეგნებულად ამახინჯებენ ჩვენი ისტორიის ამ ხანას.

შეცდომების გასწორება.

თ. ტ. მე-7 ნომერში: ბ-ონ გიორგი ყიფიანის მიერ ლევან ზურაბიშვილისადმი მიძღვნილი სიტყვის სათაური: „მეგობრის ხსოვნას" გამორჩენილია.

ამავე სიტყვაში, ლექსის მეხუთე სტრიქონი: „თავისუფლება თავისი სხვისი", მთლიანად გამორჩენილია.

ავტორს და მკითხველს უმორჩილესად ვთხოვთ გვაპატიონ.

n. 15/63

სამგლოვიარო განცხადებები

† ჟორჟეტა მაჩაბლისა.

11 იანვარს 1975 წელს, ქალაქ სან ფრანსისკოში გარდაიცვალა ბ-ნ ვანო მაჩაბელის მეუღლე ჟორჟეტა მაჩაბელისა. განსვენებულმა თავისი ბუნებით სრულიად შეიენო ქართველ ემიგრაციის სულიერი ვითარება და ზუსტად შეეთვისა ამ ემიგრაციის პატრიოტულ მისწრაფებებს.

ამ ღირსეულ, მაღალ თვისებათა წყალობით შეჰქმნა მან ნამდვილი ქართული ოჯახი, რომელიც მძლავრად იზიდავდა სან ფრანსისკოში მცხოვრებ ქართველებს. მისი გარდაცვალება მკაცრ ტკივილით იგრძნო ყოველმა ქართველმა და გამოიწვია მათი გულწრფელი თანაგრძნობა განსვენებულის მეუღლის, მისი შვილის, სიძის და შვილიშვილის მიმართ.

ვ. ნანუაშვილი.

„თავისუფლების ტრიბუნა"-ს სარედაქციო კოლეგიას.

დამავალეთ, თქვენი პატივცემული ჟურნალის საშუალებით შევუერთდე საერთო მწუხარებას **მიხეილ დადიანს** გარდაცვალების გამო და სამძიმარი მოვახსენო მის დამწუხრებულ ოჯახს. პატ-მით **მელიტონ ყლენტი.**

ა/წ. 15 იანვარს, პარიზში, 93 წლის ასაკში გარდაიცვალა **იოსებ პეტრეს ძე დავრიშაშვილი.** დასაფლავებულია სენტ-უანის სასაფლაოზე.

ა/წ. 24 თებერვალს, პარიზში გარდაიცვალა **ნინა ნიქელაძე—ჰულს.** დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

ა/წ. 14 აპრილს, არპაჟონის ჰოსპიტალში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოლკოვნიკი **ლადო შარაბიძე.** დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

24 აპრილს 1975 წელს, არპაჟონის ჰოსპიტალში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 81 წლის ასაკში, გარდაიცვალა, ღვაწმოხდილი მაცნიერი - რუსთაველოლოგი, დოქტორი **ვიქტორ ნოზაძე.** დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

ა/წ. 1 მაისს პარიზში, მის ბინაზე იპოვეს, უკვე რამოდენიმე დღის მიცვალებული **გიორგი (გოგი) კახაბერი.** დასაფლავებულია პარიზის სენტ უანის სასაფლაოზე, ახლახან გარდაცვლილ მისი მეუღლის გვერდით.

ა/წლის 24 მაისს, ქალაქ მიუნხენში, გარდაიცვალა **პოეტი გიორგი (გუგული) გამყრელიძე.** დასაფლავებულია მიუნხენის ვალდფრიდჰოფ-ის სასაფლაოზე.

ა/წ. 18 აპრილს, მილანში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 45წლის ასაკში, გარდაიცვალა ექიმი **გიორგი ყაუხჩიშვილი.**

ა/წ. 4 ივლისს, ქ. მარვეჟოლი-ში (ლოზერის დეპარტ.) პენსიონერთა თავშესაფარში, გარდაიცვალა **ალექსანდრე -შურა ნაკაიძე.** გადმოსვენებულია ლევილის სასაფლაოზე.

„თავისუფლების ტრიბუნა" უღრმეს მწუხარების გამომხატველ სამძიმარს უცხადებს ყველა მათ პირისუფლებს.

ჟურნალის ფონდი

ჩვენი გაზეთის მე-6 ნომერში გამოცხადებული ხარჯთაღრიცხვის გაგრძელება (1-11-1974 — 30 ივნისი 1975).

შემოწირულება:

პ. ხ.—ჩემი ყოფილი კოლეგის და უფროსი მეგობრის **მიხეილ დადიანის** ხსოვნისათვის (100 დოლარი) 426,50 ფ.

პ. ხ.—ჩემი და ჩემი ოჯახის მეგობრის პოლკოვნიკ **ლადო შარაბიძეს** ხსოვნისათვის 350,00

ვანო მაჩაბელი, ჩემი მეუღლის — **ჟორჟეტას** კეთილმოსაგონარად (25 დოლარი)—102,06 ფრ. — **დიმიტრი გოგიშვილი** (10 კან დოლ.) — 44,65ფ; **მართა გეგეჭკორი**— **სტურუასი** — 90 ფ.; — **კარლო გვარჯალაძე** (10 დოლ.) 44 ფ.; — **კარლო ინასარიძე** 200 ფ.; **ვალია ჯიბლაძე** 10; **დიმიტრი დათიაშვილი** — 10; **ერნესტ მაჭავარიანი** — 10; **ნიკოლოზ ანთაძე** — 150; **მიხეილ (მიშა) გოგორიშვილი** 50; **იონა გუნია** — 30; **სიკო კობიაშვილი** (10 დოლ.) — 42,90; **ლუბა აბდუშელიშვილისა** — 50;პოლკოვნიკი **ვანო ვაჩნაძე** — 100; **გულნარა** და **დავით ურაკაძეები** — 100; **აპოლონ ორაგველიძე** — 100; **ლაისო** და **ცოტნე დადიანები;** ძვირფასი მამის **მიშა დადიანის** ხსოვნისათვის (25 დოლ.) — 108,13 ფრ.; **რაფიელ ჯაში** — 100; ექიმი **ილია მაღლაკელიძე** — 100; **ვიტალი უგრეხელიძე** — (2 გირ. სტერ.) — 20; **ჟ. გიაძე** — 100; **შოთა ბერეჟიანი** — 50; **ვარლამ ანთელავა** — 50; **შალიკო ჯაველიძე** —100; **შარლი ცინცაძე** (20 დოლარი) 94,11ფრ. **ელა წერეთელი** (1,000 ბელგ. ფრ.) —121,43 ფრ. — **ვლადიმერ გვასალია** 50; **გიორგი გრიგოლაშვილი** — 50; **კვიროსი ჩხაიძე** 50; **მელიტონ ყლენტი** — 100; **ვლადიმერ რუხაძე** — 100; **ელენე ბარნოვისა** — 50; **ვანო ნანუაშვილი** (10 დოლ.) 42,65; **ლადო არველაძე** — 50; **არჩილ მჭედლიშვილი** — 100; **თამარ პაპავასი (20 დოლ.)** — 82,40; **ელენე მგალობლიშვილისა** — 100; **ლადო შარაბიძე** (ა. შ. შტატები) — 106,38 ფრ. **აკაკი ბარკალაია** — 100; **ვამო მაჩაბელი (10 დოლ).** 36,98; **ვალია კედიასი** — 10; **ვიქტორ ხომერიკი** 100; **რეი ზურაბიშვილისა** — 150; **მილი ზურაბიშვილი** 150; **ზოსიმე ჯიშკარიანი** — —100; **ისიდორე გაფონია** (30 დოლ.) 117; **მიხეილ ხუნდაძე** 50; **ავთანდილ ფარჯანაძე** — 100; **გიორგი ჯავახიშვილი** — 50 **დავით ვაჩნაძე** (მამა) — 50; **დავით ვაჩნაძე** (შვილი) — 50..

სულ შემოსავლის ჯამი	4.698,21
თ. ტ. მე-6 ნომრის ანგარიშში დარჩა	2.790,05
ივნისის 30 შემოსავლის ჯამი:	7.488,25
თ. ტ მე-6 ნომრის გასავალი =	2.301,40
თ.ტ. მე-7 ნომრის გასავალი =	5.342,20
სულ გასავალი =	7.643,60
ფონდის დანაკლისი ივნისის ბოლოს	—155,35

რომელსაც მიემატება ამ მე-8 ნომრის ხარჯები.

მასალები და შემოწირულებანი ჟნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით:

Directeur : G. TSERETELI 193, Avenue du Belvédère, 75019 Paris - Tél. 607.08.14

Imprimerie Coopérative Arpajonaise Edition hors commerce